ჯემალ ანთიძე

დაპროგრამება C# ენაზე

თბილისი 2017

ჯემალ ანთიძე

დაპროგრამება C# ენაზე

სახელმძღვანელო კომპიუტერულ მეცნიერებათა მიმართულების სტუდენტებისათვის

თბილისი 2017

წინათქმა

წინამდებარე სახელმძღვანელო განკუთვნილია კომპიუტერულ მეცნიერებათა მიმართულების სტუდენტებისათვის და მათთვის, ვისაც სურს სრულყოფილად დაეფლოს C# დაპროგრამების ენას და მის გამოყენებას სხვადასხვა პრობლემების კომპიუტერული რეალიზაციისათვის. სახელმძღვანელოში მოცემულია როგორც C# ინსტრუქციების სრული ფორმალური აღწერა, ასევე ფართოდაა წაროდგენილი მათი გამოყენება კონკრეტულ პროგრამებში ისე, რომ შემსწავლელს შეუძლია პრაქტიკულად გამოსცადოს მათი შესრულება კომპიუტერზე. დანართის სახით მოცემულია პროგრამები, რომელთა გარჩევა და კომპიუტერზე რეალიზაცია დაეხმარება შემსწავლელს დაოსტატდეს . სახელმძღვანელო წარმოადგენს ჩემს მიერ გადამუშავებულ ვერსიას C# ლექციების კურსისა, რომელიც გამოქვეყნებულია ელექტრონულად თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჩემს ვებ გვედზე(იხილეთ: http://fpv.science.tsu.ge). ავტორი მრავალი წლის განმავლობაში კითხულობდა ლექციებსა და ატარებდა პრაქტიკულ მეცადინეობებს C# დაპროგრამებაში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და სხვა უმაღლეს სასწავლებელში. მიუხედავად ამისა, სახელმძღვანელო არაა დაზღვეული შეცდომებისა თუ ნაკლისაგან. ავტორი მადლიერებით მიიღებს ყველა საქმიან შენიშვნასა თუ სურვილებს მკითხველებისაგან.

ს ა რ ჩ ე ვ ი

1 თავი

ზოგადი ინსტრუქციები

1.1 მუშაობის დაწყება C#-ში

შინაარსი :

პროგრამის ძირითადი სტრუქტურა;

namespace-ის გამოყენება;

Main მეთოდის გამოყენება;

შეტანა comand line-ით;

პროგრამის ძირითადი სტრუქტურა

მარტივი C# პროგრამა

```
// Namespace-ის გამოცხადება
using System;
// პროგრამის დაწყების კლასი
class Cmisalmeba
{
// Main მეთოდი იწყებს პროგრამის შესრულებას
      static void Main()
   {
      // ეკრანზე გამოტანა
      Console.WriteLine("ვიწყებთ C# შესწავლას!");
   }
```

}

ამ პროგრამის კომპილაცია შე იძლება შემდეგი ბრძანებით (იგულისხმება, რომ პროგრამის ტექსტი ჩაწერილია Cmisalmeba.cs ფაილში):

csc.exe Cmisalmeba.cs

კომპილაციის შედეგი ჩაიწერება ფაილში Cmisalmeba.exe სტანდარტულ ბიბლიოთეკაში. თუ სხვაგან გვინდა ჩაწერა, მაშინ უნდა მივუთითოთ სრული გზა . //-ით იწყება ერთსტრიქონიანი კომენტარი. იგი კომპილაციის დროს არ განიხილება და გამოიყენება მხოლოდ როგორც პროგრამის ახსნა-განმარტება. ბრძანებათა სტრიქონი არის ფანჯარა, რომლის საშუალებითაც შეიძლება ბრძანებებისა და პროგრამების გაშვება სათანასო ტექსტის აკრეფით. რომ გამოვიყენოთ ბრძანებათა სტრიქონში მუშაობა, საჭიროა, მაგალითად, WINDOWS XP ოპერციულ სისტემაში შევიდეთ, START ნენიუში ავირჩიოთ RUN და აკრიფოთ CMD. შევნიშნოთ, რომ C# კლავიატურის რეგისტრისადმი მგრძობიარეა და ასხვავებს დიდ და პატარა ასოებს.

Namespace-ის გამოცხადება using System ნიშნავს, რომ თქვენ შეგიძლიათ ისარგებლოთ System-ში მოთავსებული მეთოდების კლასებით ისე, რომ წინ არ მიუწეროთ სახელი System მაშინ, როცა ამ გამოცხადების გარეშე უნდა მიუთითოთ სრული სახელი. მაგალითად, წინა პროგრამაში გამოყენებულია მეთოდი WriteLine System-ის წინ მიწერის გარეშე, რადგან პროგრამაში გამოყენებულია using System. პროგრამაში შემოტანილია კლასი სახელით Cmisalmeba, რომლიც შეიცავს Main მეთოდს და იგი არის პროგრამაში შესასვლელი წერტილი, საიდანაც იწყება პროგრამის შესრულება. ყოველ პროგრამას უნდა ჰქონდეს Main მეთოდი, რომელიც მოთავსებულია ძირითად კლასში. კლასისა და მეთოდის საზღვრები მიეთითება გახსნილი და დახურული ფიგურული ფრჩხილებით. სპეციფიკაცია void მიუთითებს, რომ მეთოდს არ გამოაქვს რაიმე მნიშვნელობა. Main მეთოდს წოველთვის აქვს void სპეციფიკაცია. ამ მაგალითში Main მეთოდს აქვს ერთად-ერთი ინსტრუქცია, რომელიც არის System-ის Console ჯგუფის მეთოდი WriteLine. მას გამოაქვს ტექსტი ეკრანზე და გადადის ახალ სტრიქონზე. Console არის Namespace-ის კლასი და WriteLine არის მისი მეთოდი. კლასებსა და Namespace-ებს დაწვრილებით შევისწავლით შემდეგ ლექციებში. ისინი აქ მოტანილი არიან პროგრამის სტრუქტურის საჩვენებლად. static მოდიფიკატორი მიუთითებს, რომ ამ მეთოდის გამოყენება შეიძლება მხოლდ ამ კლასში.

ბრძანებათა სტრიქონით შეტანა

ბრძანებათა სტრიქონით ჩვენ შეგვიძლია გავხსნათ ზოგადი მოხმარების პროგრამები და ვიმუშაოთ მათში. მაგალითად,

Notepad.exe saxeli.txt

ეს ბრძანება გამოიძახებს Notepad რედაქტორს და მასში გახსნის saxeli.txt ფაილს. რასაკვირველია თუ იგი არსებობს იმ დირექტორიაში, რომელსაც სისტემა იცნობს. ჩვემნ შეგვიძლია ბრძანებათა სტრიქონით არგუმენტები და გამოვიყენოთ ისინი პროგრამაში. თუ როგორ გავაკეთოთ ეს ამისათვის განვიხილოთ მაგალითი:

```
// Namespace-ის გამოცხადება

using System;

// პროგრამის დაწყების კლასი

class Csaxeli1

{

   //Main იწყებს პროგრამის შესრულებას.

   static void Main(string[] args)

   {

      // ეკრანზე გამოტანა

      Console.WriteLine("სალამი, {0}!", args[0]);

      Console.WriteLine("გისურვებთ წარმატებას!");

   }

}
```

აქ, ჩვენ Main მეთოდში მივუთითეთ არგუმენტი string[] args, რაც ნიშნავს, რომ args არის string ტიპის მასივი. მისი მნიშვნელობები აიღება ბრძანებათა სტრიქონიდან. სადაც პირველი სახელი არის პროგრამის ფაილის სახელი და დანარჩენი სახელები არიან args მასივის ელემენტები. მასივის ელემენტების გადათვლა იწყება ნულიდან.

Console.WriteLine("სალამი, {0}!", args[0]) ინსტრუქცია

იღებს ბრძანებათა სტრიქონიდან პროგრამის სახელის შემდეგ სახელს და მას განიხილავს როგორც args[0]-ის მნიშვნელობას. თუ ეს სახელია "პეტრე", მა**შინ პროგრამა გამოიტანს ეკრანზე**

სალამი პეტრე!

გისურვებთ წარმატებას!

დიალოგი ბრძანებათა სტრიქონის საშუალებით .

პროგრამაში სტრიქონის შეტანის მეორე ხერხია მისი შეტანა Console-ის საშუალებით: განვიილოთ პროგრამა:

```
using System;

// პროგრამის დაწყების კლასი

class Csaxeli2

{

   //Main იწყებს პროგრამის შესრულებას

   public static void Main()

{

// შეტანა Console-ის საშუალებით

 // ცვლადის განსაზღვრა

 Console.Write("სალამი, {0}! ", Console.ReadLine());

Console.WriteLine("გისურვებთ წარმატებას!");

}

}
```

Console.Write ახდენს თავისი არგუმენტების გამოტანას ისე, რომ არ გადადის ახალ სტრიქონზე. Console.ReadLine() ელოდება მომხმარებლისაგან სტრიქონის შეტანას კლავიატურიდან. მომხმარებელმა უნდა აკრიოს სტრიქონი და დააჭიროს ხელი ENTER-ს. ამის შემდეგ, {0}-ის ნაცვლად აიღება აკრეფილი სტრიქონი და Console.WriteLine გამოიტანს მიღებულ სტრიქონს.

```
Console.Write("სალამი, {0}! ", Console.ReadLine());
```

შეიძლება შეიცვალოს ინსტრუქციით

```
string name=Console.ReadLine() ;

Console.Write("სალამი, {0}! ",name);
```

შედეგად გამოიტანება ეკრანზე იგივე. ასეთ რეჯიმში პროგრამის გამოტანასა და მომხმარებლის მუშაობას აქვს შემდეგი სახე:

ეკრანზე გამოიტანება - თქვენი სახელი? აკრიფეთ თქვენი სახელი კლავიატურაზე და დააჭირეთ ENTER კლავიშას. ამის შემდეგ ეკრანზე გამოიტანება:

სალამი, <თქვენს მიერ აკრეფილი სახელი>! გისურვებთ წარმატებას!

ამგვარად, ჩვენ შევისწავლეთ თუ როგორია პროგრამის სტრუქტურა C#-ში, მუშაობა ბრძანებათა სტრიქონის გამოყენებით და როგორ გამოვიყენოთ ბრძანებათა სტრიქონის არგუმენტები პროგრამაში.

1.2 ცვლადები, ტიპები და ოპერატორები

ცვლადი გამოიყენება პროგრამაში მნიშვნელობაზე მისათითებლად. ცვლადის გამოცხადება ნიშნავს ცვლადისთვის სახელისა და ტიპის განსაზღვრას, ხოლო ცვლადის განსაზღვრა არის მისთვის მნიშვნელობის მიცემა. მეორენაირად მას ცვლადის ინიციალიზაციას უწოდებენ. ამავე დროს განისაზღვრება ადგილი, სადაც ეს მნიშვნელობა იწერება. გამოყოფილი ადგილის სიგრძე განისაზღვრება ცვლადის ტიპის მიხედვით, ხოლო პროგრამაში მისი გამოყენების არე განისაზღვრება ცვლადის გამოცხადების ადგილით. ტიპი არის მნიშვნელობათა სიმრავლე საიდანაც მნიშვნელობის აღება შეიძლება ცვლადისათვის. არსებობენ ორი სახის ტიპები: პროგრამირების ენაში დაფიქსირებული ტიპები, მორენაირად მათ ჩადგმულ ან მარტივ ტიპებს უწოდებენ და პროგრამისტის მიერ შედგენილი ტიპები, რომლებიც მიიღებიან მარტივი ტიპების კომბინაციით. C#-ში მარტივი ტიპებია: ბულის, ინტეგრალური, ნამდვილი და სტრიქონული ტიპები. განვიხილოთ თითოეული ცალკ-ცალკე. ჭეშმარიტი მნიშვნელობა აღინიშნება true-თი, ხოლო მცდარი მნიშვნელობა false-თი. მათ ეწოდებათ ბულის(ლოგიკური) კონსტანტები. ისინი გამოიყენებიან ლოგიკური გამოსახულების ჭეშმარიტობის დასადგენად. თუ რა არის ლოგიკური გამოსახულება და როგორ უნდა გამოვიყენოთ იგი შევისწავლით მოგვიანებით.

ინტეგრალური ტიპი. C#-ში ინტეგრალურ ტიპს მიეკუთვნებიან მთელი რიცხვები ნიშნით ან უნიშნოთ და char ტიპის სიმბოლოები, რომლებიც წარმოადგენენ Unicode-ის სიმბოლოებს(იხილეთ ინტერნეტში Unicode ცხრილი). განვიხილოთ ცხრილი, სადაც მოცემულია integral ტიპის ქვეტიპები, მეხსიერებაში მათთვის გამოყოფილი ბიტების რაოდენობა და იმ რიცხვების დიაპაზონი, რომლებიც შეიძლება წარმოიდგინოს მოცემული ქვეტიპით.

ქვეტიპი	სიგრძე ბიტებში	დიაპაზონი
sbyte	8	128-დან 127-მდე
byte	8	0-დან 255-მდე
short	16	2768-დან 32767-მდე

ushort	16	0-დან 65535-მდე
int	32	-2147483648-დან 2147483647-მდე
uint	32	0-დან 4294967295-მდე
long	64	-92233720 36854775808-დან 9223372036854775807-მდე
ulong	64	0-დან 18446744073709551615-მდე
char	16	0-დან 65535-მდე

მაგალითად, sbyte ტიპის ცვლადს კომპიუტერის მეხსიერებაში გამოეყოფა 8 ბიტის სიგრძის ადგილი. მას შეიძლება ჰქონდეს ნებისმიერი მთელი მნიშვნელობა -128-დან 127-ის ჩათვლით.

ნამდვილი ტიპი. ნამდვილი ტიპის რიცხვებს მიეკუთვნებიან ნამ**დვილი** რიცხვები მოძრავი წერტილით, ნამდვილი რიცხვები მოძრავი წერტილითა და ორმაგი სიზუსტით და ათწილადი რიცხვები. განვიხილოთ ცხრილი:

ტიპი	**სიგრძე ბიტებში**	**სიზუსტე**	**დიაპაზონი**
float	32	7 ათობითი ციფრი	1.5×10^{-45}-დან 3.4×10^{38}
double	64	15-16 ათობითი ციფრი	5.0×10^{-324} t-დან 1.7×10^{308}
decimal	128	28-29 ათობითი ციფრი	1.0×10^{-28} –დან 7.9×10^{28}

ამ ცხრილში დიაპაზონი ზუსტად გვიჩვენებს თუ რა რიცხვები ეკუთვნიან კონკრეტულ ტიპს. ნამდვილი რიცხვები მოძრავი წერტილით შედგება ნაწილებისაგან: მთელი. რომელსაც მოსდევს წერტილი, შემდეგ ათწილადი ნაწილი და შემდეგ ათი ხარისხად მთელი. ზოგადად, იგი ჩაიწერება ასე: $n.m10^p$, სადაც n და p მთელი რიცხვებია, m ნატურალური რიცხვია. ათწილადი რიცხვი ჩაიწერება n.m სახით. n შეიძლება არ გვქონდეს.

სტრიქონული ტიპი. სტრიქონული ტიპის კონსტანტა წარმოიდგინება ორმაგ ბრჭყალებში მოთავსებული სიმბოლოებით, სადაც სიმბოლოები ეკუთვნიან ASCII სტანდარტს. ზოგიერთი მათგანი არიან არაბეჭდვადი სიმბოლოები. ისინი წარმოიდგინებიან სტრიქონში ზოგიერთი ბეჭდვადი სიმბოლოებით, რომელთაც წინ მიწერილი აქვთ სიმბოლო “დახრილი ხაზი”(\). ასეთ სიმბოლოებს ეწოდებათ სპეციალური სიმბოლოები. მაგალითად, \n არის სპეციალური სიმბოლო, რომელიც აღნიშნავს ახალ სტრიქონზე გადასვლას. სპეციალური სიმბოლოები მოცემულია შემდეგ ცხრილში:

სპეციალური სიმბოლო	მნიშვნელობა
\'	ერთმაგი ბრჭყალები
\"	ორმაგი ბრჭყალები
\\	დახრილი ხაზი
\0	nul-კოდი
\a	ზარი
\b	დახრილი ხაზი
\f	ფორმის ჩატვირთვა
\n	ახალ სტრიქონზე გადასვლა
\r	კარეტის უკან დაბრუნება
\t	ჰორიზონტალური ტაბულაცია
\v	ვერტიკალური ტაბულაცია

გარდა ამისა, C#-ში არსებობს სტრიქონების სპეციალური წარმოდგენა, როცა სტრიქონს წინ ეწერება სიმბოლო @ . ასეთ შემთხვევაში სტრიქონის შიგნით დახრილი ხაზი ხაზი გამოიყენება ჩვეულებრივი აზრით, რაც სტრიქონს ადვილად წასაკითხს ხდის.

მაგალითად, ავიღოთ გზა ფაილების სისტემაში c:\a\b\magaliti.txt სტრიქონში იგი ჩაიწერება ასე: “c:\\a\\b\\magaliti.txt”, ხოლო ცპეციალური ჩაწერით: @”c:\a\b\magaliti.txt”.

ოპერატორები. ოპერატორები გამოიყენებიან გამოსახულებების შესადგენად. C#-ში ასხვავებენ პირველად, ერთადგილიან და ორადგილიან ოპერატორებს იმისდამიხედვით, თუ რამდენ ოპერანდს იყენებს ოპერატორი. გამოსახულებაში, რომ განვსაზღვროთ ორადგილიანი ოპერატორების შესრულების რიგი, ამისათვის გამოიყენება ოპერატორის პრიორიტეტი და ასოციატურობა. გამოსახულებიდან აღებული ორი მეზობელი ოპერატორიდან ის სრულდება პირველად, რომელსაც უფრო მაღალი პრიორიტეტი აქვს, ხოლო ტოლი პრიორიტეტების შემთხვევაში განიხილება ასოციატურობა. თუ ოპერატორი მარჯვნივ ასოციატიურია, მაშინ პირველად სრულდება მარჯვენა ოპერატორი. თუ ოპერატორი მარცხნივ ასოციატურია, მაშინ სრულდება მარცხენა ოპერატორი. თუ ჩვენ გვინდა ორი მეზობელი ოპერატორიდან რომელიმე შესრულდეს პირველად, მაშინ მას ვსვამთ მრგვალ ფრჩხილებში თავისი ოპერანდებიანად. პირველადი და ერთადგილიანი ოპერატორები სრულდებიან მარცხნიდან მარჯვნივ რიგის მიხედვით.

ქვემოთ, მოცემულია ცხრილი, სადაც ჩამოთვლილია ოპერატორთა კატეგორიები მათ პრიორიტეტთა კლების მიხედვით და მოცემულია, აგრეთვე, მათი ასოციატურობა..

კატეგორია პრიორიტეტის მიხედვით	ოპერატორები	ასოციატურობა
პირველადი	x.y, f(x), a[x], x++, x--, new, typeof , default, checked, unchecked, delegate	მარცხნივ
ერთადგილიანი	+, - , !, ~ , ++x, --x, (T)x	მარცხნივ
მულტიპლიკატორული	*, /, %	მარცხნივ
ადიტიური	+, -	მარცხნივ

ძვრის	<<, >>	მარცხნივ
რელაციური	<, >, <=, >=, is, as	მარცხნივ
ტოლობის	=, !=	მარცხნივ
ლოგიკური და	&	მარცხნივ
ლოგიკური XOR	^	მარცხნივ
ლოგიკური ან	|	მარცხნივ
პირობითი და	&&	მარცხნივ
პირობითი ან	||	მარცხნივ
ნულ კოდი	??	მარცხნივ
ტერნალური	?:	მარჯვნივ
მინიჭების	=, *= , /=, %=, +=, -=, <<=, >>=, &=, ^=, |=, =>	მარჯვნივ

განვიხილოთ ერთადგილიანი ოპერატორების გამოყენების მაგალითი:

```
using System;

class Unary

{

    public static void Main()

    {
```

```
int unary = 0;

int preIncrement;

int preDecrement;

int postIncrement;

int postDecrement;

int positive;

int negative;

sbyte bitNot;

bool logNot;

preIncrement = ++unary;

Console.WriteLine("წინასწარ გაზრდა: {0}", preIncrement);

preDecrement = --unary;

Console.WriteLine("წინასწარ შემცირება: {0}", preDecrement);

postDecrement = unary--;

Console.WriteLine("შემდეგ შემცირება: {0}", postDecrement);

postIncrement = unary++;

Console.WriteLine("შემდეგ გაზრდა: {0}", postIncrement);

Console.WriteLine("ერთადგილიანის საბოლოო მნიშვნელობა: {0}", unary);

positive = -postIncrement;

Console.WriteLine("დადებითი: {0}", positive);

negative = +postIncrement;

Console.WriteLine("უარყოფითი: {0}", negative);
```

```
        bitNot = 0;
        bitNot = (sbyte)(~bitNot);
        Console.WriteLine("ბიტური უარყოფა: {0}", bitNot);
        logNot = false;
        logNot = !logNot;
        Console.WriteLine("ლოგიკური უარყოფა: {0}", logNot);
    }
}
```

განვიხილოთ მინიჭების ინსტრუქცია bitNot = (sbyte) (~bitNot); ამ ინსტრუქციაში ოპერატორი ~ ახდენს bitNot-ის ბიტურ უარყოფას. ამიტომ, საჭიროა მისი გარდაქმნა sbyte ტიპში, რაც სრულდება ცხადად (sbyte) გარდაქმნით და შედეგი ენიჭება bitNot-ს, ხოლო ++x ახდენს ჯერ x-ის გაზრდას ერთით და შემდეგ მის გამოყენებას. ანალოგიურად, ხდება x-- და --x-ის შემთხვევაში, მხოლოდ ერთით მცირდება x-ის მნიშვნელობა. ქვემოთ, მოცემულია პროგრამის მუშაობის შედეგი, რომ შეამოწმოთ თქვენი ცოდნა ოპერატორების მუშაობის შესახებ.

```
    წინასწარ გაზრდა:
    წინასწარ შემცირება: 0
    შემდეგ შემცირება: 0
    შემდეგ გაზრდა: -1
    ერთადგილიანის საბოლოო მნიშვნელობა: 0
    დადებითი: 1
    უარყოფითი: -1
    ბიტური უარყოფა: -1
```

ლოგიკური უარყოფა: true

შემდეგი პროგრამა გვიჩვენებს ბინარული ოპერატორების გამოყენებას.

```
using System;

class Binary
{
    public static void Main()
    {
        int x, y, result;
        float floatresult;
        x = 7;
        y = 5;
        result = x+y;
        Console.WriteLine("x+y: {0}", result);
        result = x-y;
        Console.WriteLine("x-y: {0}", result);
        result = x*y;
        Console.WriteLine("x*y: {0}", result);
        result = x/y;
        Console.WriteLine("x/y: {0}", result);
        floatresult = (float)x/(float)y;
        Console.WriteLine("x/y: {0}", floatresult);
        result = x%y;
```

```
        Console.WriteLine("x%y: {0}", result);
        result += x;
        Console.WriteLine("result+=x: {0}", result);
    }
    }
```

ეს პროგრამა შესრულების შედეგად გამოიტანს:

```
    x+y: 12
    x-y: 2
    x*y: 35
    x/y: 1
    x/y: 1.4
    x%y: 2
    result+=x: 9
```

განვიხილოთ ინსტრუქცია floatresult = (float)x/(float)y; რადგან x და y int ტიპისაა და მათზე სრულდება გაყოფის ოპერატორი, საჭიროა ისინი გადავიყვანოთ float ტიპში ცხადად. გაყოფის შედეგი იქნება float და იგი მიენიჭება floatresult-ს. ინსტრუქცია result += x არის result = result + x ინსტრუქციის შემოკლებული ჩაწერა.

მასივის ტიპი. მასივი არის ერთიდაიგივე ტიპის მნიშვნელობათა სასრული მიმდევრობა. მიმდევრობის ელემენტებისათვის მეხსიერებაში ადგილი გამოიყოფა მიმდევრობით. მნიშვნელობაზე მითითება ხდება სპეციალური წესით, რომელიც განისაზღვრება მასივის განზომილებითა და თითოეული განზომილების სიგრძით. ამგვარად, მასივი განისაზღვრება სახელით, ტიპით, განზომილებითა და თითოეული განზომილების სიგრძით. რომ გავეცნოთ მასივის განსაზღვრას, განვიხილოთ პროგრამა და მისი შესრულების შედეგი:

```
using System;

class Array

{

   public static void Main()

   {

      int[] myInts = { 5, 10, 15 };

      bool[][] myBools = new bool[2][];

      myBools[0] = new bool[2];

      myBools[1] = new bool[1];

      double[,] myDoubles = new double[2, 2];

      string[] myStrings = new string[3];

      Console.WriteLine("myInts[0]: {0}, myInts[1]: {1}, myInts[2]: {2}", myInts[0], myInts[1],
myInts[2]);

      myBools[0][0] = true;

      myBools[0][1] = false;

      myBools[1][0] = true;

      Console.WriteLine("myBools[0][0]: {0}, myBools[1][0]: {1}", myBools[0][0],
myBools[1][0]);

      myDoubles[0, 0] = 3.147;

      myDoubles[0, 1] = 7.157;

      myDoubles[1, 1] = 2.117;

      myDoubles[1, 0] = 56.00138917;
```

```
        Console.WriteLine("myDoubles[0, 0]: {0}, myDoubles[1, 0]: {1}", myDoubles[0, 0],
myDoubles[1, 0]);

        myStrings[0] = "Joe";

        myStrings[1] = "Matt";

        myStrings[2] = "Robert";

        Console.WriteLine("myStrings[0]: {0}, myStrings[1]: {1}, myStrings[2]: {2}", myStrings[0],
myStrings[1], myStrings[2]);

    }

}
```

ამ პროგრამის შესრულების შედეგია:

myInts[0]: 5, myInts[1]: 10, myInts[2]: 15

myBools[0][0]: true, myBools[1][0]: true

myDoubles[0, 0]: 3.147, myDoubles[1, 0]: 56.00138917

myStrings[0]: Joe, myStrings[1]: Matt, myStrings[2]: Robert

ავიღოთ ინსტრუქცია: int[] myInts = { 5, 10, 15 } იგი ახდენს myInts ცვლადის გამოცხადებას როგორც მთელი ტიპის ერთგანზომილებიანი მასივის და ამავე დროს ახდენს მის ინიციალიზაციას. მასივის ელემენტების გადანომვრა იწყება ნულიდან. myInts[0] იქნება 5 და ასე შემდეგ. ინსტრუქცია double[,] myDoubles = new double[2, 2] ახდენს myDoubles როგორც double ტიპის ორგანზომილებიანი მასივის გამოცხადებას. new ოპერატორი აძლევს სიგრძეს თითოეულ განზომილებას. მასივის ელემენტებს მნიშვნელობები ენიჭებათ ინსრუქციებით:

myDoubles[0, 0] = 3.147;

myDoubles[0, 1] = 7.157;

myDoubles[1, 1] = 2.117;

C#-ში არსებობს მეორე სახის მასივები, რომელთაც ჰქვიათ დანაწევრებული მასივები. მაგალითად, bool[][] myBools = new bool[2][] არის ორგანზომილებიანი დანაწევრებული bool ტიპის მასივი. რადგანაც, მეორე განზომილების ელემენტები განიხილებიან როგორც ვექტორები და თითოეულს შეგვიძლია მივცეთ სხვადასხვა სიგრძე new ოპერატორით:

```
myBools[0] = new bool[2];

 myBools[1] = new bool[1];
```

ამ ვექტორებს მნიშვნელობები მიენიჭებათ ასე:

```
myBools[0][0] = true;

myBools[0][1] = false;

myBools[1][0] = true;
```

ამგვარად, ამ პარაგრაფში წარმოდგენილია მარტივი ტიპის ცვლადები, ოპერატორები და მასივები - თუ როგორ გამოიყენებიან ისინი C# პროგრამაში.

1.3 პროგრამის მართვის ინსტრუქციები. ამ პარაგრაფში აღწერილია პროგრამის მართვის ინსტრუქციები და მოცემულია მათი გამოყენების მაგალითები:

if ინსტრუქცია. if ინსტრუქცია საშუალებას გვაძლევს მოვახდინოთ პროგრამის შესრულების განშტოება გარკვეული პირობის მიხედვით. განვიხილოთ მაგალითი:

მაგალითი 3.1

```
using System;

class IfSelect

{

   public static void Main()

   {

      string myInput;

      int myInt;

      Console.Write("გთხოვთ, შეიტანოთ რაიმე რიცხვი: ");

      myInput = Console.ReadLine();

      myInt = Int32.Parse(myInput);

      // კონკრეტული გადაწყვეტილება და ბლოკის შესრულება

      if (myInt > 0)

      {

         Console.WriteLine("თქვენი რიცხვი {0} მეტია ნულზე.", myInt);

      }

      // კონკრეტული გადაწყვეტილება და ერთი ინსტრუქციის  შესრულება

      if (myInt < 0)
```

```
    Console.WriteLine("თქვენი რიცხვი {0} ნულზე ნაკლებია.", myInt);
// ტოლია თუ არა
if (myInt != 0)
{
    Console.WriteLine("თქვენი რიცხვი {0} არ უდრის ნულს.", myInt);
}
else
{
    Console.WriteLine("თქვენი რიცხვი {0} ნულის ტოლია.", myInt);
}
// მრავალი ალტერნატივა
if (myInt < 0 || myInt == 0)
{
    Console.WriteLine("თქვენი რიცხვი {0} ნაკლებია ან ტოლი ნულზე.", myInt);
}
else if (myInt > 0 && myInt <= 10)
{
    Console.WriteLine("თქვენი რიცხვი  {0} არის 0-ზე მეტი და ნაკლებია ან ტოლი 10-
ზე.", myInt);
}
else if (myInt > 10 && myInt <= 20)
{
```

```
        Console.WriteLine("თქვენი რიცხვი  {0} არის 10-ზე მეტი და ნაკლებია ან ტოლი 20-ზე.", myInt);
    }
    else if (myInt > 20 && myInt <= 30)
    {
        Console.WriteLine("თქვენი რიცხვი  {0} არის 20-ზე მეტი და ნაკლებია ან ტოლი 30-ზე.", myInt);
    }
    else
    {
        Console.WriteLine("თქვენი რიცხვი  {0} არის 30-ზე მეტი.", myInt);
    }
  }
}
```

if ინსტრუქციას აქვს შემდეგი სახე: გასაღები სიტყვა if შემდეგ (<პირობა>), ბლოკი შემდეგ შეიძლება იყოს გასაღები სიტყვა else და ბლოკი ან elseif და იგივე მეორდება, რაც if შემთხვევაში, მხოლოდ elseif შეიძლება გამეორდეს მრავალჯერ და ასეთი ინსტრუქცია მთავრდება else და ბლოკით. ბლოკი არის ფიგურულ ფრჩხილებში მოთავსებული ერთი ან მეტი ინსტრუქცია. იგი გამოიყენება როცა გვსურს ინსტრუქციის ადგილას დავწეროთ ერთზე მეტი ინსტრუქცია. if ინსტრუქციის განმარტებაში, სადაც გვაქვს ბლოკი შეიძლება შეიცვალოს ინსტრუქციით. <პირობა> არის ლოგიკური გამოსახულება, რომლის მნიშვნელობა შეიძლება იყოს true ან false. true შემთხვევაში სრულდება (<პირობა>)-ს შემდეგ მოთავსებულია ბლოკი. false-ს შემთხვევაში, სრულდება ბლოკის შემდეგ მოთავსებული ინსტრუქცია. განვიხილოთ მაგალითი:

```
myInput = Console.ReadLine();

myInt = Int32.Parse(myInput);
```

პირველი ინსტრუქცია მოითხოვს კლავიატურიდან ტექსტის შეტანას. შევიტანოთ: გთხოვთ შეიტანოთ რაიმე რიცხვი და დავაჭიროთ enter კლავიშას. შედეგად myInput-ს მიენიჭება აკრეფილი სტრიქონი. შემდეგ ინსტრუქციას აკრეფილი სტრიქონი გადაჰყავს მთელ რიცხვადა და ენიჭება myInt-ს. Int32.Parse ფუნქცია ასრულებს ამ გარდაქმნას.

switch(გადამრთველი) ინსტრუქცია. გადამრთველი გამოიყენება, როცა ჩვენ გვსურს რაიმე ცვლადის მნიშვნელობის მიხედვით მოვახდინოთ პროგრამის განშტოება. გადამრთველს აქვს შემდეგი სახე:

```
switch(<ცვლადის სახელი>)

{

case <მნიშვნელობა1> :

<ინსტრუქცია1>

break;

case <მნიშვნელობა2> :

<ინსტრუქცია2>

...

case <მნიშვნელობაn>

<ინსტრუქციაn>

default:

<ინსტრუქცია>

}
```

თუ ცვლადის მნიშვნელობა დაემთხვევა <მნიშვნელობაi>-ს, მაშინ სრულდება <instruqciai> და გადამრთველი ამთავრებს მოშაობას. თუ ცვლადის მნიშვნელობა არ დაემთხვევა არცერთ მნიშვნელობას გადამრთველი ამთავრებს მუშაობას. განვიხილოთ მაგალითი:

```
using System;

class SwitchSelect

{

   public static void Main()

   {

      string myInput;

      int myInt;

      begin:

      Console.Write("გთხოვთ შეიტანოთ რაიმე რიცხვი  1-დან 3-მდე ");

      myInput = Console.ReadLine();

      myInt = Int32.Parse(myInput);

      // გადამრთველი მთელი მნიშვნელობით

      switch (myInt)

      {

         case 1:

            Console.WriteLine("თქვენი რიცხვია {0}.", myInt);

            break;

         case 2:

            Console.WriteLine("("თქვენი რიცხვია {0}.", myInt);
```

```
            break;
        case 3:
            Console.WriteLine("("თქვენი რიცხვია {0}.", myInt);
            break;
        default:
            Console.WriteLine("("თქვენი რიცხვი არაა ერთსა და სამს შორის {0}", myInt);
            break;
    }
    decide:
    Console.Write("აკრიფეთ \"continue\" რომ გააგრძელოთ ან \"quit\" რომ გააჩეროთ პროგრამის შესრულება");        myInput = Console.ReadLine();
    // გადამრთველი სტრიქონული ტიპის მნიშვნელობით
    switch (myInput)
    {
        case "continue":
            goto begin;
        case "quit":
            Console.WriteLine("Bye.");
            break;
        default:
            Console.WriteLine("თქვენი შეტანა არაა სწორი {0} ", myInput);
            goto decide;
```

```
        }
    }
}
```

აქ განხილულია გადამრთველი მთელი და სტრიქონული ტიპის მნიშვნელობებით.

განშტოების ინსტრუქციები

განშტოების ინსტრუქცია	აღწერა
break	გამოდის გადამრთველის ბლოკიდან
continue	აგრძელებს ციკლს, ციკლის პარამეტრის შემდეგი მნიშვნელობისათვის, თუ ციკლის პარამეტრის მნიშვნელობა არ აღემატება ციკლის ბოლო მნიშვნელობას. წინააღმდეგ შემთხვევაში ამთავრებს ციკლს.
goto	გადადის იმ ჭდეზე, რომელიც წერია goto ინსტრუქციაში
return	ამთავრებს მიმ დინარე მეთოდს.
throw	გამოაქვს შეცდომის შეტყობინება.

1.4 ციკლის ინსტრუქციები

while ინსტრუქცია. while ინსტრუქციის სინტაქსია:

while (<პირობითი გამოსახულება>) {<ინსტრუქციები>},

ხოლო while ინსტრუქციის შესრულება ხდება შემდეგნაირად: გამოითვლება <პირობითი გამოსახულება >, თუ მისი მნიშვნელობაა true, მაშინ შესრულდება ფიგურულ ფრჩხილებში მოთავსებული ინსტრუქციები და კვლავ გამოითვლება <პირობითი გამოსახულება >. თუ მისი მნიშვნელობაა false, მთავრდება while ინსტრუქცია. განვიხილოთ მაგალითი:

```
using System;

class WhileLoop

{

   public static void Main()

   {

      int myInt = 0;

      while (myInt < 10)

      {

         Console.Write("{0} ", myInt);

         myInt++;

      }

      Console.WriteLine();

   }

}
```

ამ პროგრამაში myInt-ს ენიჭება ნული და ედარება 10-ს, რადგან myInt ნაკლებია 10-ზე, პირობით გამისახულებას ენიჭება true და ეკრანზე გამოიტანება myInt-ის მნიშვნელობა - ნული. შემდეგ myInt-ის მნიშვნელობა იზრდება ერთით და პროცესი მეორდება, სანამ myInt არ გახდება 10. ამ დროს პირობითი გამოსახულება მიიღებს მნიშვნელობას false და ციკლი მთავრდება. ეკრანზე გამოიტანება ცარიელი სტრიქონი და პროგრამა ამთავრებს მუშაობას.

do ინსტრუქცია. მისი სინტაქსია: do {<ინსტრუქციები>} while (<პირობითი გამოსახულება>). ამ შემთხვევაში ჯერ სრულდება <instruqciebi> და შემდეგ ხდება <პირობითი გამოსახულება>-ს შემოწმება. ამით განსხვავდება იგი while ინსტრუქციისაგან. განვიხილოთ მაგალითი:

```
using System;

class DoLoop

{

   public static void Main()

   {

      string myChoice;

      do

     {

         //menu-ს გამოტანა

         Console.WriteLine("ჩემი მისამართების წიგნი \n");

         Console.WriteLine("A – დაამატე ახალი მისამართი");

         Console.WriteLine("D – წაშალე მისამართი");

         Console.WriteLine("M – შეასწორე მისამართი");

         Console.WriteLine("V – გადაათვალიერე მისამართები");
```

```
        Console.WriteLine("Q – გამოსვლა მისამართების წიგნიდან\n");
        Console.WriteLine("აირჩიე(A,D,M,V,ან Q): ");
        // მომხმარებლის არჩევანის აღება
        myChoice = Console.ReadLine();
        // გადაწყვეტილების მიღება მომხმარებლის არჩევანის მიხედვით
switch(myChoice)
        {
           case "A":
           case "a":
              Console.WriteLine("ახალი მისამართის დამატება.");
              break;
           case "D":
           case "d":
              Console.WriteLine("მასამართის წაშლა.");
              break;
           case "M":
           case "m":
              Console.WriteLine("მისამართის შესწორება.");
              break;
           case "V":
           case "v":
              Console.WriteLine("მისამართების გადათვალიერება.");
```

```
                break;
            case "Q":
            case "q":
                Console.WriteLine("დამთავრება“);
                break;
            default:
                Console.WriteLine("{0} არასწორი არჩევანი", myChoice);
                break;
        }
        // პაუზა, რომ მომხმარებელმა ნახოს შედეგები
        Console.Write("დააჭირეთ Enter-ს, რომ გააგრძელოთ...");
        Console.ReadLine();
        Console.WriteLine();
    } while (myChoice != "Q" && myChoice != "q");
// გაგრძელება
  }
}
```

ამ პროგრამაში მომხმარებელი კონკრეტული კოდის მიხედვით ირჩევს გარკვეულ მოქმედებას მისამართების წიგნში.

for ინსტრუქცია. for ინსტრუქციის სინტაქსია:

for (<ინსტრუქცია>; <პირობითი გამოსახულება>; <საიტერაციო სია>)
{<ინსტრუქციები>}

<ინსტრუქცია> განსაზღვრავს ციკლის პარამეტრს - მის ტიპსა და საწყის მნიშვნელობას. შემდეგ გამოითვლება <პირობითი გამოსახულება>. თუ მისი მნინელობააშ true სრულდება <ინსტრუქციები> და <საიტერაციო სია>-დან განისაზღვრება ციკლის პარამეტრის ახალი მნიშვნელობა. ეს პროცესი მეორდება მანამ, სანამ <პირობითი გამოსახულება> არ მიიღებს false მნიშვნელობას, რაც ამთავრებს ციკლს. განვიხილოთ მაგალითი:

```
using System

class ForLoop

{

   public static void Main()

   {

      for (int i = 0; i < 20; i++)

      {

         if (i == 10)

            break;

         if (i % 2 == 0)

            continue;

         Console.Write("{0} ", i);

      }

      Console.WriteLine();

   }

}
```

ამ პროგრამას გამოაქვს ეკრანზე i-ს კენტი მნიშვნელობები 1-დან 10-მდე. თუ i=10, პროგრამა ამთავრებს ციკლს, ხოლო თუ i კენტია, ეკრანზე გამოაქვს მისი მნიშვნელობა და განიხილება ციკლის პარამეტრის შემდეგი შვნელობა. თუ i ლუწია, განიხილება ციკლის პარამეტრის შემდეგი მნიშვნელობა. ინსტრუქცია break ამთავრებს ციკლს, ხოლო ინსტრუქცია continue აგრძელებს ციკლს ციკლის პარამეტრის შემდეგი მნიშვნელობისათვის.

forich ინსტრუქცია. მისი სინტაქსია:

forich (<ტიპი> <საიტერაციო ცვლადი> in <სია>) {<ინსტრუქციები>}

<ტიპი> მიუთითებს <სია>-ს ელემენტების ტიპს. <საიტერაციო ცვლადი> არის ციკლის პარამეტრი, რომელიც მნიშვნელობებს იღებს <sia>-დან. თუ <სია>-ს ტიპია int[], მაშინ <ტიპი>=int. <საიტერაციო ცვლადი> არის ცვლადის სახელი, რომელიც მნიშვნელობებს იღებს <sia>-დან. ცვლადის ყოველი შვნელობისათვის <სია>-დან სრულდება <ინსტრუქციები>, სანამ არ ამოიწურება <sia>. განვიხილოთ მაგალითი:

```
using System;

class ForEachLoop

{

   public static void Main()

   {

      string[] names = { "Cheryl", "Joe", "Matt", "Robert" };

      foreach (string person in names)

      {

         Console.WriteLine("{0} ", person);

      }

   }
```

```
}
```

ეს პროგრამა გამოიტანს ეკრანზე names მნიშვნელობებს და ამთავრებს მუშაობას.

ამგვარად, ჩვენ ამ პარაგრაფში განვიხილეთ ციკლის ინსტრუქციების ყველა სახე.

1.5 მეთოდები

მეთოდები საშუალებას გვაძლევენ გამოვყოთ პროგრამის ნაწილი, როგორც დამოუკიდებელი ერთეული და მას მივმართოთ პროგრამის სხვადასხვა ადგილიდან. ასევე, შესაძლებელია მისი ტექსტის მოდიფიკაცია. მისი სინტაქსია: <ატრიბუტები> <მოდიფიკატორები> <დასაბრუნებელი მნიშვნელობის ტიპი> <მეთოდის სახელი>(<პარამეტრები>) {<ინსტრუქციები>}

<ატრიბუტები>-ს და <მოდიფიკაორები>-ს განვიხილავთ მოგვიანებით.

<დასაბრუნებელი მნიშვნელობის ტიპი> შეიძლება იყოს c#-ის ნებისმიერი ტიპი, რომელიც აღნიშნავს მეთოდის დასაბრუნებელი მნიშვნელობის ტიპს. <მეთოდის სახელი> არის უნიკალური იდენტიფიკატორი, რომელიც ცალსახად განსაზღვრავს მეთოდს. <პარამეტრები> განსაზღვრავენ მეთოდისათვის გადასაცემ და დასაბრუნებელ ინფორმაციას. <ინსტრუქციები> განსაზღვრავენ იმ მოქმედებებს, რომლებიც უნდა შეასრულოს მეთოდმა. განვიხილოთ მარტივი მეganvixiloT martivi meTodisთოდის მაგალითი.

```
using System;
class OneMethod
{
   public static void Main()
   {
      string myChoice;

OneMethod om = new OneMethod();
      do
     {
         myChoice = om.getChoice();
         // არჩევანი მომხმარებლის მიერ
         switch(myChoice)
         {
            case "A":
            case "a":
```

```
                Console.WriteLine("თქვენ გსურთ დაუმატოთ მისამართი.");
                break;
            case "D":
            case "d":

Console.WriteLine(“თქვენ გსურთ მისამართის წაშლა");
                break;
            case "M":
            case "m":
                Console.WriteLine(“თქვენ გსურთ მისამართის შესწორება.");
                break;
            case "V":
            case "v":
                Console.WriteLine(“თქვენ გსურთ მისამართების დათვალიერება.");
                break;
            case "Q":
            case "q":

                Console.WriteLine(“დამთავრება.");
                break;
            default:
                Console.WriteLine("{0} araswori arCevani", myChoice);
                break;
        }
        // პაუზა შედეგის დასათვალიერებლად

    Console.WriteLine();
        Console.Write(“დააჭირეთ enter-ს მუშაობის გასაგრძელებლად ...");
        Console.ReadLine();
        Console.WriteLine();

} while (myChoice != "Q" && myChoice != "q");

// მუშაობის გაგრძელება, სანამ მომხმარებელი
```

```
//არ დაამთავრებს მუშაობას

}
   string getChoice() {
       string myChoice;
       // მენიუს გამოტანა
       Console.WriteLine(“ჩემი მისამართების წიგნი\n");
       Console.WriteLine("A – ახალი მისამართის დამატება");
 Console.WriteLine("D – მისამართის წაშლა");
Console.WriteLine("M – მისამართის შესწორება");
Console.WriteLine("V  - მისამართების დათვალიერება");
       Console.WriteLine("Q - დამთავრება\n");

Console.Write(“აირჩიეთ (A,D,M,V,ან Q): ");
       // მომხმარებლის არჩევანის აღება
       myChoice = Console.ReadLine();
       Console.WriteLine();


       return myChoice;
   }
}
```

ამ პროგრამაში ძირითადი კლასია OneMethod, რომელში განსაზღვრულია სტატიკური main მეთოდი და getChoice მეთოდი. main მეთოდში, რომ გამოვიყენოთ getChoice მეთოდი, ამისათვის საჭიროა შევქმნათ OneMethod კლასის ობიექტი და გამოვიძახოთ ამ ობიექტის getChoice მეთოდი, რადგან იგი არაა სტატიკური მეთოდი, ამიტომ პირდაპირ ვერ გამოვიძახებთ OneMethod კლასიდან. OneMethod კლასის om ობიექტი იქმნება ინსტრუქციით:

```
OneMethod om = new OneMethod();
```

აქ OneMethod არის ტიპი და OneMethod() არის კლასის კონსტრუქტორი (მეთოდი, რომელსაც იგივე სახელი აქვს, რაც კლასს). ამის შემდეგ om ობიექტის getChoice მეთოდი გამოიძახება om.getChoice()-ით. ეს მეთოდი აბრუნებს მომხმარებლის არჩევანს.

სხვა მხრივ, ეს პროგრამა იგივეა, რაც ადრინდელი პროგრამა. ახლა, განვიხილოთ იგივე ამოცანის პროგრამა მეთოდის პარამეტრების გამოყენებით.

მენიუს ჩვენება და მომხმარებლის არჩევანი.

```
using System;
class Address
{
   public string name;
   public string address;
}
class MethodParams
{
   public static void Main()
   {
      string myChoice;
      MethodParams mp = new MethodParams();
      do
     {
         // მენიუს ჩვენება და მომხმარებლის არჩევანი.
         myChoice = mp.getChoice();

// მომხმარებლის არჩევანის შესრულება
         mp.makeDecision(myChoice);
         // პაუზა შედეგების დასათვალიერებლად
         Console.Write("დააჭირეთ Enter-ს გაგრძელებისათვის");
         Console.ReadLine();
         Console.WriteLine();
      } while (myChoice != "Q" && myChoice != "q");

 // გაგრძელება დამთავრებამდე
   }
   // მენიუს ჩვენება და მომხმარებლის არჩევანი
```

```
    string getChoice()
    {
        string myChoice;
        // მენიუს გამოტანა
        Console.WriteLine("ჩემი მისამართების წიგნი");

Console.WriteLine("A – ახალი მისამართის დამატება");
        Console.WriteLine("D – მისამართის წაშლა");
        Console.WriteLine("M – მისამართის შესწორება");
        Console.WriteLine("V – მისამართების დათვალიერება");
        Console.WriteLine("Q - დამთავრება\n");
        Console.WriteLine("აირჩიეთ (A,D,M,V,ან Q): ");
        // არჩევანის დაფიქსირება
        myChoice = Console.ReadLine();
        return myChoice;
    }
    // გადაწყვეტილების შესრულება
    void makeDecision(string myChoice)
    {
        Address addr = new Address();

switch(myChoice)
        {
            case "A":
            case "a":
                addr.name = "Joe";
                addr.address = "C# Station";
                this.addAddress(ref addr);
                break;
            case "D":
            case "d":
                addr.name = "Robert";
```

```
            this.deleteAddress(addr.name);
            break;
        case "M":
        case "m":
            addr.name = "Matt";
            this.modifyAddress(out addr);
 Console.WriteLine(“saxelia {0}.", addr.name);
            break;
        case "V":
        case "v":
            this.viewAddresses("Cheryl", "Joe", "Matt", "Robert");
            break;
        case "Q":
        case "q":
            Console.WriteLine(“დამთავრება.");
            break;
        default:
            Console.WriteLine("{0} არაა სწორი არჩევანი", myChoice);
            break;
      }
   }

// მისამართის დამატება
   void addAddress(ref Address addr)
   {
      Console.WriteLine(“სახელი: {0}, მისამართი: {1} დაემატა.", addr.name, addr.address);   }
   // მისამართის წაშლა
   void deleteAddress(string name)
   {
      Console.WriteLine(“თქვენ გსურთ {0}-ის მისამართის წაშლა.", name);
   }
```

```
    // მისამართის შეცვლა
    void modifyAddress(out Address addr)
    {
        //Console.WriteLine("სახელი: {0}.", addr.name);
//იწვევს შეცდომას!
        addr = new Address();
        addr.name = "Joe";
        addr.address = "C# Station";
    }
    // მისამართების დათვალიერება
    void viewAddresses(params string[] names)
{
        foreach (string name in names)
        {
            Console.WriteLine("სახელი: {0}", name);
        }
    }
}
```

ეს პროგრამა იმავე ამოცანის რეალიზაციას ახდენს რაც წინა პროგრამა, მაგრამ განსხვავდება ინსტრუქციების გამოყენებით. აქ გამოიყენება პარამეტრიანი მეთოდი და პარამეტრის სხვადასხვა სახეები. პარამეტრი შეიძლება იყოს მნიშვნელობა. ასეთი პარამეტრის შესატყვის არგუმენტს უნდა ჰქონდეს მხოლოდ მნიშვნელობა. პარამეტრს შეიძლება ჰქონდეს მოდიფიკატორი out. ასეთ შემთხვევაში შესტყვის არგუმენტს არ უნდა ჰქონდეს მნიშვნელობა. ასეთი არგუმენტის მნიშვნელობა უნდა განისაზღვროს მეთოდის ტანში და იგი უბრუნდება გამომძახებელ პროგრამას, სადაც შეიძლება ამ მნიშვნელობის გამოყენება. პარამეტრს შეიძლება ჰქონდეს მოდიფიკატორი ref, რაც ნიშნავს, რომ შესატყვისი არგუმენტის მნიშვნელობა უნდა იყოს მისამართი. ან კიდევ პარამეტრს შეიძლება ჰქონდეს მოდიფიკატორი params, რაც ნიშნავს, რომ შესატყვისი

არგუმენტი არის ცვალებადი სიგრძის ერთგანზომილებიანი მასივი. ამ პროგრამაში მოცემულია ყველა ჩამოთვლილი სახის პარამეტრების გამოყენება. მაგალითად,

```
    void addAddress(ref Address addr)
```

aq, Cven gvaqvs addr aris Address tipis parametri modifikatoriT ref.

```
void modifyAddress(out Address addr)
```

აქ, პარამეტრი არის out მოდიფიკატორით. ახლა განვიხილოთ

```
void viewAddresses(params string[] names)
```

აქ, პარამეტრად გვაქვს names, რომელიც არის ერთგანზომილებიანი სტრიქონის ტიპის მასივი მოდიფიკატორით params. ეს ნიშნავს, რომ შესტყვის არგუმენტად შეიძლება ავიღოთ სტრიქონული ტიპის ერთგანზომილებიანი ნებისმიერი სიგრძის მასივი.

1.6 სახელთა არეები (Namespaces). სახელთა არეები გამოიყენება იმისათვის, რომ ზუსტად მივუთითოთ კონკრეტული ობიექტი, როცა განსხვავებულ ობიექტებს აქვთ ერთიდაიგივე სახელი. ამას ვახერხებთ ამ ობიექტების სხვადასხვა სახელთა არეში მოთავსებით. კონკრეტული ობიექტის მითითება ხდება ობიექტის სახელზე სახელთაარის სახელის დამატებით. თუ როგორ ხდება სახელთა არეს შემოტანა, ამისათვის განვიხილოთ მაგალითი: // Namespace-ის გამოძახება

```
using System;
namespace csharp_station
{
   class NamespaceCSS
   {
      public static void Main()
      {
         Console.WriteLine("ეს არის ახალი C# Namespace.");

  }
 }
}
```

სახელთა არე განისაზღვრება გასღები სიტყვით namespace, რომელსაც მოსდევს სახელი და გახსნილი და დახურული ფრჩხილები. ფრჩხილებს შორის მოთავსებული ტექსტი ეკუთვნის სახელთა არეს. ამ მაგალითში შემოტანილია csharp_station სახელთა არე, რომელსაც ეკუთვნის კლასი NamespaceCSS. სახელთა არეები შეიძლება იყოს ერთიმეორეში ჩადგმული. განვიხილოთ მაგალითი:

```
using System;
namespace csharp_station
{
   namespace tutorial
   {
      class NamespaceCSS
      {
         public static void Main()
```

```
        {
                Console.WriteLine("ეს არის სახელთა არეს მაგალითი.");
        }
      }
   }
}
```

ეს მაგალითი შეიძლება გადაიწეროს ასეც:

```
using System;
namespace csharp_station.tutorial
{
   class NamespaceCSS
   {
      public static void Main()
      {
         Console.WriteLine("ეს არის ახალი Namespace.");
      }
   }
;
```

ინსტრუქცია

```
namespace csharp_station.tutorial
```

აღნიშნავს ჩადგმულ სახელთა არეებს. წერტილი მიუთითებს, რომ არეები ერთიმეორეშია ჩადგმული. ახლა, განვიხილოთ სახელთა არეებიდან წევრების გამოძახების მაგალითი:

```
using System;
namespace csharp_station
{
   // ჩადგმული namespace
   namespace tutorial
   {
```

```
    class myExample1
    {
        public static void myPrint1()
        {
            Console.WriteLine("სახელთა არეს წევრის გამოყენების მაგალითი. ");
        }
    }
  }

class NamespaceCalling
  {
    public static void Main()
    {
        tutorial.myExample1.myPrint1();
        tutorial.myExample2.myPrint2();
    }
  }
}
// namespace როგორც ზემოთ ჩადგმული  namespace
namespace csharp_station.tutorial
{
  class myExample2

public static void myPrint2()
    {
        Console.WriteLine("სახელთა არეს წევრის გამოძახების მეორე მაგალითი.);
    }
  }
}
```

ახლა, განვიხილოთ using დირექტივის გამოყენების მაგალითი:

```
using System;
using csharp_station.tutorial;
```

```
class UsingDirective
{
   public static void Main()
   {
      // namespace –ის წევრის გამოყენება
      myExample.myPrint();
   }
}

namespace csharp_station.tutorial
{
   class myExample
   {
      public static void myPrint()
      {
         Console.WriteLine(“using დირექტივის გამოყენების მაგალითი.");
     }
   }
}
```

ამ მაგალითში დირექტივას

```
 using csharp_station.tutorial;
```

შემოჰყავს პროგრამაში სახელთა არე csharp_station.tutorial. ახლა, განვიხილოთ თუ როგორ შევამოკლოთ სახელთა არეს გრძელი მითითება:

```
using System;
using csTut = csharp_station.tutorial.myExample;

// მეტსახელი


class  AliasDirective
{
   public static void Main()
```

```
    {
        // namespace –ის გამოძახება
        csTut.myPrint();
        myPrint();
    }
// შესაძლო ორაზროვანი მეთოდი
    static void myPrint()
    {
        Console.WriteLine("არაა წევრი csharp_station.tutorial.myExample.");
    }
}

namespace csharp_station.tutorial
{
    class myExample
    {
        public static void myPrint()
        {
            Console.WriteLine("ეს არის წევრი -  csharp_station.tutorial.myExample.");
        }}}
```

ინსტრუქციას

```
using csTut = csharp_station.tutorial.myExample;
```

შემოჰყავს შემამოკლებელი სახელი სახელთა არესათვის
csharp_station.tutorial.myExample

სახელთა არეს წევრები შეიძლება იყოს:

კლასები

სტრუქტურები

ინტერფეისები

გადანომვრა

დელეგატები

2 თავი. კლასები და ობიექტები

2.1 კლასები. ჩვენ აქამდე მრავალჯერ გამოვიყენეთ კლასები და ვიცით ზოგი რამ კლასების შესახებ. ახლა, სრულად განვიხილავთ კლასებს. კლასის განსაზღვრა იწყება გასაღები სიტყვით **class**, რომელსაც მოსდევს კლასის სახელი და ფიგურულ ფრჩხილებში მოთავსებული კლასის წევრები. ყოველ კლასს აქვს კონსტრუქტორი, რომელიც არის მეთოდი და აქვს სახელად კლასის სახელი. მას არა აქვს დასაბრუნებელი მნიშვნელობა. იგი გამოიძახება ავტომატურად ყოველთვის, როცა ხდება კლასის ეგზემპლარის შექმნა. დამატებით ჩვენ შეგვიძლია კლასის შიგნით განვსაზღვროთ მრავალი კონსტრუქტორი და გამოვიყენოთ ნებისმიერი მათგანი კლასის ეგზემპლარის შექმნის დროს. კონსტრუქტორები განსხვავდებიან ერთიმეორისაგან პარამეტრებით. კონსტრუქტორის დანიშნულებაა მოახდინოს კლასის წევრების ინიციალიზაცია კლასის ეგზემპლარის შექმნისას. კლასს აქვს აგრეთვე დესტრუქტორები. დესტრუქტორი არის მეთოდი, რომლის სახელია კლასის სახელს წინდართული სიმბოლო ~. იგი გამოიყენება კლასის დახურვის დროს, რომ გავათავისუფლოთ კლასის მიერ დაკავებული რესურსები. კლასს შეიძლება ჰქონდეს მრავალი დესტრუქტორი. ისინი ერთიმეორესგან განსხვავდებიან პარამეტრებით.განვიხილოთმაგალითი:

```
using System;

// დამხმარე კლასი

class OutputClass

{

   string myString;

   // კონსტრუქტორი

   public OutputClass(string inputString)

   {

      myString = inputString;
```

```
    }
    // საობიექტო მეთოდი
    public void printString()
    {
        Console.WriteLine("{0}", myString);
    }
    // დესტრუქტორი
    ~OutputClass()
    {
        // ზოგიერთი რესურსის განთავისუფლება
    }
}
class ExampleClass
{
    public static void Main()
    {
        // OutputClass-ის  ეგზემპლიარი
        OutputClass outCl = new OutputClass("OutputClass-ით გამოიტანება ეს");
        // OutputClass-ის მეთოდის გამოძახება
        outCl.printString();
    }
}
```

ამ პროგრამაში მოცემულია კონსტრუქტორის და დესტრუქტორის მაგალითი. კონსტრუქტორი ინიციალიზაციას უკეთებს კლასის ელემენტს myString-ს. ასევე დესტრუქტორის ტანში შეიძლება იყოს რაიმე რესურსის გათავისუფლება. ამ პროგრამაში იქმნება OutputClass-ის ობიექტი outCl და printString მეთოდს გამოაქვს ეკრანზე myString-ის მნიშვნელობა. კონსტრუქტორებისა და დესტრუქტორების შექმნა პროგრამაში აუცილებელი არ არის. ასეთ შემთხვევაში ასეთ შემთხვევაში ავტომატურად იქმნება გაჩუმების პრინციპით კლასში ერთი კონსტრუქტორი და დესტრუქტორი პარამეტრების გარეშე. ეს კონსრუქტორი გამოიყენება ავტომატურად ობიექტის შექმნისას და ობიექტის მიერ დაკავებული ადგილის გასათავისუფლებლად ნაგავის შემგროვებლის მიერ. ასეთი კონსტრუქტორები არ არიან დიდად სასარგებლო. რომ გავხადოთ კონსტრუქტორები უფრო სასარგებლო, ჩვენ თვითონ შევქმნათ ისინი მაინიციალიზირებელის გამოყენებით:

public OutputClass() : this("Default Constructor String") { }

აქ, კონსტრუქტორის შექმნა ხდება მაინიციალიზირებელის საშუალებით. მისი გამოძახება ხდება :-ით. This უთითებს მიმდინარე ობიექტს. ფრჩხილებში მოთავსებული სტრიქონი არის კონსტრუქტორის არგუმენტი, რომელიც ინიციალიზაციას უკეთებს ობიექტის ველს. ასეთი გზით შესაძლებელია სხვადასხვა კონსტრუქტორების გამოძახება, თუ რომელი კონსტრუქტორი იქნება გამოძახებული, დამოკიდებულია პარამეტრების ტიპსა და რაოდენობაზე. კლასის წევრები შეიძლება იყვნენ ეგზემპლიარები ან სტატიკურები. სტატიკური წევრები გამოიძახებიან ასე: <კლასის-სახელი> . <სტატიკური წევრი >. ვთქვათ, OutputClass შეიცავს სტატიკურ მეთოდს

```
public static void staticPrinter()
   {
      Console.WriteLine("There is only one of me.");
   }
```

მაშინ, იგი შეიძლება გამოვიძახოთ main() მეთოდიდან ასე:

```
OutputClass.staticPrinter();
```

შეიძლება გვქონდეს სტსტიკური კონსტრუქტორი. იგი გამოიყენება სტატიკური ველის ინიციალიზაციისათვის. იგი უნდა იყოს გამოძახებული ობიექტის შექმნამდე და ველის გამოყენებამდე.

კლასის წევრები შეიძლება იყვნენ:

ჩადგმული კლასები

ველები

მეთოდები

კონსტრუქტორები

დესტრუქტორები

მაინდექსირებლები

თვისებები

ხდომილებები

დელეგატები

2.2 მემკვიდრეობითობა. ამ ლექციაში შეისწავლით როგორ შექმნათ ძირითადი და წარმოებული კლასები, როგორ მოვახდინოთ წარმოებული კლასიდან ძირითადი კლასის ინიციალიზაცია, როგორ გამოიძახოთ და დამალოთ წარმოებული კლასიდან ძირითადი კლასი.

მემკვიდრეობითობა არის ობიექტზე ორიენტირებული დაპროგრამების ძირითადი თვისება, რომელიც საშუალებას გვაძლევს ხელმეორედ გამოვიყენოთ უკვე შექმნილი კოდი და ამით დავზოგოთ პრობლემის დაპროგრამირებისათვის საჭირო დრო. განვიხილოთ მაგალითი:

```
using System;

public class ParentClass

{

   public ParentClass()

   {

      Console.WriteLine("წინაპარი კონსტრუქტორი.");

   }

   public void print()

   {

      Console.WriteLine("წინაპარი კლასი.");

   }

}

public class Childclass : ParentClass

{

   public ChildClass()

   {
```

```
        Console.WriteLine("შვილი კონსტრუქტორი.");
    }
    public static void Main()
    {
        ChildClass child = new ChildClass();
        child.print();
    }
}
```

ამ მაგალითში შემოტანილია ParentClass წინაპარი კლასი და შემოტანილია მისი კონსტრუქტორი, განსაზღვრულია მეთოდი print() და შემდეგ მოდის public class ChildClass : ParentClass . ამით შემოდის მემკვიდრე კლასი Childclass და მისი წინაპარი კლასია ParentClass . განვიხილოთ ტექსტი:

```
  public static void Main()
    {
        ChildClass child = new ChildClass();


        child.print();
    }
```

რადგან ეს ტექსტი ეკუთვნის Childclass ამიტომ ამ კლასში განისაზღვრა პროგრამა და მასში იქმნება ობიექტი child. child.print() საშუალებით ხდება წინაპარი კლასის მეთოდის გამოყენება. ამგვარად, წინაპარი კლასი არის ძირითადი კლასი და ჩაილდჩლასს არის მისი მემკვიდრე კლასი ან რაც იგივეა წარმოებული კლასი. წარმოებული კლასის კონსტრუქტორი გამოიძახება ძირითადი კლასის კონსტრუქტორის გამოძახების შემდეგ. ახლა განვიხილოთ მაგალითი თუ როგორ უკავშირდება წარმოებული კლასი ძირითად კლასს:

```
using System;


public class Parent
{
    string parentString;
    public Parent()
    {
        Console.WriteLine("ძირითადი კონსტრუქტორი.");
    }
    public Parent(string myString)
    {
        parentString = myString;
        Console.WriteLine(parentString);
    }
    public void print()
   {
        Console.WriteLine("ძირითადი კლასი");
    }
}
public class Child : Parent
{
    public Child() : base("აღებულია წარმოებული კლასიდან")
```

```
    {
        Console.WriteLine("წარმოებული კლასის კონსტრუქტორი");
    }
    public new void print()
    {
        base.print();
        Console.WriteLine("წარმოებული კლასი");
    }
    public static void Main()
    {
        Child child = new Child();
        child.print();
        ((Parent)child).print();
    }
}
```

public class Child : Parent ეს ინსტრუქცია აცხადებს წარმოებულ კლასს, ხოლო ინსტრუქცია

public Child() : base("warmoebuli klasidan")

იძახებს ძირითადი კლასის კონსტრუქტორს, რომელსაც პარამეტრად აქვს სტრიქონული ტიპის ცვლადი. ეს პარამეტრი შეიცვლება არგუმენტით "წარმოებული კლასიდან". ამას უთითებს : და გასაღები სიტყვა ბასე. ზოგჯერ შეიძლება დაგვჭირდეს, რომ შევქმნათ წარმოებულ კლასში, საკუთარი პრინტ მეთოდი და გამოვიყენოთ საჭიროების მიხედვით ხან ძირითადი კლასის პრინტ მეთოდი და ხან წარმოებული კლასის print მეთოდი.

public new void print();

გასაღები სიტყვა new საშუალებას იძლევა წარმოებულ კლასში გამოვაცხადოთ ახალი print მეთოდი და დავმალოთ ძირითადი კლასის print მეთოდი .

child.print()

იძახებს ცხადად წარმოებული კლასის print მეთოდს, ხოლო

((Parent)child).print();

იძახებს ძირითადი კლასის print მეთოდს. ((Parent)child).print(); ახდენს წარმოებული კლასის print მეთოდის შეცვლას ძირითადი კლასის print მეთოდით.

ამგვარად, ჩვენ უკვე ვიცით როგორ შევქმნათ ძირითადი და წარმოებული კლასები და როგორ გამოვიძახოთ მათი წევრები. ამავე დროს, უნდა გვახსოვდეს, რომ წამოებული კლასი არის მისი ძირითადი კლასის დაზუსტება.

2.3. პოლიმორფიზმი. ამ პარაგრაფში შეისწავლით რა არის პოლიმორფიზმი, როგორ შექმნათ წარმოებული მეთოდი, როგორ გადაფაროთ იგი და როგორ გამოიყენოთ პოლიმორფიზმი პროგრამაში.

პოლიმორფიზმი არის ობიექტზე ორიენტირებული დაპროგრამების ერთერთი ძირითადი ცნება. იგი საშუალებას გვაძლევს გამოვიძახოთ წარმოებული კლასის მეთოდები ძირითადი კლასის მიმთითებლების საშუალებით პროგრამის თვლის პროცესში. ეს არის მოხერხებული საშუალება, როცა გჭირდებათ მასივის ელემენტებად აიღოთ ობიექტები და გამოიძახოთ ამ ობიექტების მეთოდები. არაა აუცილებელი ობიექტები იყვნენ ერთიდაიგივე ტიპის. მაგრამ თუ ისინი დაკავშირებული არიან მემკვიდრეობითობით, მაშინ შეგიძლიათ ისინი დაუმატოთ მასივს, როგორც წარმოებული ტიპი და ასევე შესაძლებელია მათ ჰქონდეთ საერთო მეთოდები. შესაძლებელია მათი გამოძახება ისე, რომ არ წარმოიშვას ომონიმია. განვიხილოთ მაგალითი:

```
using System;

public class DrawingObject

{

   public virtual void Draw()

   {

      Console.WriteLine("ძირითადი დასახაზი ობიექტი.");

   }

}
```

ამ მაგალითში მოცემულია ვირტუალური მეთოდი რაწ, რომელიც შეიძლება გადაფარული იყოს წარმოებული კლასის მეთოდებით. ვირტუალური მეთოდი შემოგვაქვს მოდიფიკატორით virtual. ახლა, განვიხილოთ მაგალითი, სადაც წარმოებული კლასის მეთოდები ახდენენ ძირითადი კლასის ვირტუალური მეთოდის გადაფარვას:

```
using System;

public class Line : DrawingObject
```

```
{
    public override void Draw()
    {
        Console.WriteLine("ეს არის სწორი ხაზი.");
    }
}
public class Circle : DrawingObject
{
    public override void Draw()
    {
        Console.WriteLine("ეს არის წრეწირი.");
    }
}
public class Square : DrawingObject
{
    public override void Draw()
    {
        Console.WriteLine("ეს არის კვადრატი.");
    }
}
```

ვირტუალური მეთოდის გადაფარვა ხდება მოდიფიკატორით override. გადამფარავ მეთოდებს უნდა ჰქონდეთ იგივე სიგნატურა და პარამეტრები რაც ვირტუალურ მეთოდს. ახლა, განვიხილოთ პოლიმორფიზმის მაგალითი:

```
using System;

public class DrawDemo

{

   public static int Main()

   {

      DrawingObject[] dObj = new DrawingObject[4];

      dObj[0] = new Line();

      dObj[1] = new Circle();

      dObj[2] = new Square();

      dObj[3] = new DrawingObject();

      foreach (DrawingObject drawObj in dObj)

      {

         drawObj.Draw();

      }

      return 0;

   }

}
```

ამ მაგალითში შემოგვაქვს ოთხელემენტიანი მასივი და მასივის ელემენტებს ვანიჭებთ ობიექტებს. შემდეგ, ციკლში ვიყენებთ ობიექტების Draw მეთოდს.

2.4 თვისებები. ამ პარაგრაფში შეისწავლით რა არის თვისებები და რისთვის გამოიყენებიან ისინი, როგორ მოვახდინოთ მათი რეალიზაცია. ასევე, შეისწავლით მხოლოდ წაკითხვად და მხოლოდ ჩაწერად თვისებებს და ავტომატურად რეალიზებად თვისებებს. c#-ში თვისებები შემოტანილია იმისათვის, რომ დავიცვათ კლასის ველები მასში ჩაწერისა ან მისი წაკითხვისაგან. სხვა ენებში ეს კეთდება სპეციალური წამკითხველი და ჩამწერი მეთოდების საშუალებით.

თვისებების მეორე უპირატესობა ველებთან შედარებით არის ის, რომ თქვენ შეგიძლიათ დროდადრო შეცვალოთ მისი რეალიზაცია. ველის შემთხვევაში, მისი ტიპი უნდა იყოს ყოველთვის ერთიდაიგივე და თქვენ არ შეგიძლიათ შეცვალოთ იგი, მაშინ როცა თქვენ შეგიძლიათ შეცვალოთ თვისების შიგა რეალიზაცია. თუ კლიენტის ID თავდაპირველად დაყენებულია მთელ მნიშვნელობაზე, თქვენ შეგიძლიათ დააყენოთ მოთხოვნა, რომ მან ვერ მიიღოს უარყოფითი მნიშვნელობა. ამას ვერ გააკეთებთ ველის შემთხვევაში. იმ ენებში, რომლებსაც არ გაჩნიათ თვისებები, თვისებების როლი შეიძლება შეასრულოს სპეციალურად შექმნილმა მეთოდებმა. ახლა განვიხილოთ თვისებების მეთოდებით რეალიზაციის მაგალითი:

```
using System;

public class Customer

{

   private int m_id = -1;

   public int GetID()

   {

      return m_id;

   }

   public void SetID(int id)

   {

      m_id = id;

   }
```

```
    private string m_name = string.Empty;
    public string GetName()
    {
        return m_name;
    }
    public void SetName(string name)
    {
        m_name = name;
    }
}
public class CustomerManagerWithAccessorMethods
{
    public static void Main()
    {
        Customer cust = new Customer();
        cust.SetID(1);
cust.SetName("ჯემალ ანთაძე");
        Console.WriteLine(
            "ID: {0}, saxeli da gvari: {1}",
            cust.GetID(),
            cust.GetName());
        Console.ReadKey();
```

```
    }
}
```

am magaliTSi, instruqciiT

```
private string m_name = string.Empty;
```

m_name-s vaniWebT cariel mniSvnelobas. amisaTvis viyenebT string klasis Empty meTods. axla, vnaxoT rogor gavakeToT igive Tvisebebis gamoyenebiT:

```
using System;
public class Customer
{
    private int m_id = -1;
    public int ID
    {
        get
        {
            return m_id;
        }
        set
        {
            m_id = value;
        }
    }
    private string m_name = string.Empty;
```

```
    public string Name
    {
        get
        {
            return m_name;
        }
        set
        {
            m_name = value;
        }
    }
}
public class CustomerManagerWithProperties
{
    public static void Main()
    {
        Customer cust = new Customer();
        cust.ID = 1;
        cust.Name = "ჯემალ ანთაძე";
        Console.WriteLine(
                "ID: {0}, სახელი და გვარი: {1}",
                cust.ID,
```

```
            cust.Name);
        Console.ReadKey();
    }
}
```

ამ მაგალითში შემოტანილია კლასი Customer, რომელშიც გვაქვს ორი ველი int m_id და string m_name მოდიფიკატორით private. ასევე გვაქვს ორი თვისება: ID და Name, რომელთაც აქვთ get და set. მათი საშუალებით შესაძლებელია ავიღოთ ველის მნიშვნელობა და დავაყენოთ მათი მნიშვნელობები გასაღები სიტყვის value-ს საშუალებით. ინსტრუქცია cust.ID = 1; ანიჭებს id-ს მნიშვნელობას ერთს ID-ის set-ის საშუალებით, ხოლო გამოსახულება cust.ID გვაძლევს id-ის მნიშვნელობას ID-ის გეტ-ის საშუალებით. ამგვარად, ID და Name საშუალებას გვაძლევენ როგორც წავიკითხოთ თვისებების მნიშვნელობები, ასევე დავაყენოთ თვისებების მნიშვნელობები. ახლა, განვიხილოთ მაგალითი, როცა შეგვიძლია მხოლოდ თვისების მნიშვნელობის წაკითხვა:

```
using System;
public class Customer
{
    private int m_id = -1;
    private string m_name = string.Empty;
    public Customer(int id, string name)
    {
        m_id = id;
        m_name = name;
    }
    public int ID
```

```
    {
        get
        {
            return m_id;
        }
    }
    public string Name
    {
        get
        {
            return m_name;
        }
    }
}
public class ReadOnlyCustomerManager
{
    public static void Main()
    {
        Customer cust = new Customer(1, "ჯემალ ანთიძე");
        Console.WriteLine(
            "ID: {0}, სახელი და გვარი: {1}",
            cust.ID,
```

```
            cust.Name);
        Console.ReadKey();
    }
}
```

აქ, ID-ს და Name-ს აქვთ მხოლოდ get. ამოტომ, მათ შეუძლიათ მხოლოდ თვისების მნიშვნელობის წაკითხვა. ანალოგიურად, შემდეგ მაგალითში შეგვიძლია მხოლოდ თვისების მნიშვნელობის დაყენება:

```
using System;
public class Customer
{
    private int m_id = -1;
    public int ID
    {
        set
        {
            m_id = value;
        }
    }
    private string m_name = string.Empty;
    public string Name
    {
        set
```

```
        {
            m_name = value;
        }
    }
    public void DisplayCustomerData()
    {
        Console.WriteLine("ID: {0}, სახელი და გვარი: {1}", m_id, m_name);
    }
}
public class WriteOnlyCustomerManager
{
    public static void Main()
    {
        Customer cust = new Customer();
        cust.ID = 1;
        cust.Name = "ჯემალ ანთიძე";
        cust.DisplayCustomerData();
        Console.ReadKey();
    }
}
```

ახლა, ვნახოთ თუ როგორ წავიკითხოთ და დავაყენოთ თვისების მნიშვნელობა ავტომატურად:

```
using System;

public class Customer

{

   public int ID { get; set; }

   public string Name { get; set; }

}

public class AutoImplementedCustomerManager

{

   static void Main()

   {

      Customer cust = new Customer();

      cust.ID = 1;

      cust.Name = "ჯემალ ანთიძე";

      Console.WriteLine(

         "ID: {0}, სახელი და გვარი: {1}",

         cust.ID,

         cust.Name);

      Console.ReadKey();

   }

}
```

როგორც ხედავთ, ასეთი მიდგომა უფრო კომპაქტურია ტექსტის მოცულობის მიხედვით.

3 თავი

C#-ის სპეციალური საშუალებები

3.1 მაინდექსირებლები. ამ ლექციაში შეისწავლით რა არის მაინდექსირებელი და რისთვის გამოიყენება იგი, როგორ შექმნათ და გადატვირთოთ ისინი, როგორ შექმნათ მრავალპარამეტრიანი მაინდექსირებლები. მაინდექსირებელი საშუალებას აძლევს კლასს გამოყენებული იყოს როგორც მასივი. კლასის შიგნით მაინდექსირებლით შეიძლება მართოთ ნებისმიერი გზით მონაცემთა კოლექციები. მაინდექსირებლით თქვენ შეგიძლიათ მიუთითოთ კლასის ნებისმიერი მონაცემი. განვიხილოთ მაგალითი:

```
using System;

// მარტივი მაინდექსირებლის მაგალითი.

class IntIndexer

{

   private string[] myData;

   public IntIndexer(int size)

   {

      myData = new string[size];

      for (int i = 0; i < size; i++)

      {

         myData[i] = "ცარიელი";

      }

   }

   public string this[int pos]

   {
```

```
    get
    {
        return myData[pos];
    }
    set
    {
        myData[pos] = value;
    }
}
static void Main(string[] args)
{
    int size = 10;
    IntIndexer myInd = new IntIndexer(size);
    myInd[9] = "რაიმე მნიშვნელობა";
    myInd[3] = "სხვა მნიშვნელობა";
    myInd[5] = "ნებისმიერი მნიშვნელობა";
    Console.WriteLine("\nმაინდექსირებლის საშუალებით გამოტანა \n");
    for (int i = 0; i < size; i++)
    {
        Console.WriteLine("myInd[{0}]: {1}", i, myInd[i]);
    }
}
```

}

ამ მაგალითში, პარამეტრიანი კონსტრუქტორით იქმნება მასივი, რომლის სიგრძე მოცემულია პარამეტრით და ამ მასივის ელემენტებს ენიჭება მნიშვნელობა "ცარიელი". შემდეგ, იქმნება მაინდექსირებელი გეტ, სეტ და ვალუე გასაღები სიტყვების გამოყენებით. პარამეტრი უთითებს მასივის ინდექსს. Main მეთოდში ხდება მაინდექსირებლის გამოყენებით კონკრეტული მასივის შექმნა და მის ელემენტებზე მითითება. შემდეგი მაგალითი გვიჩვენებს თუ როგორ შეიძლება მაინდექსირებლის გადატვირთვა:

```
// გადატვირთული მაინდექსირებლის განხორციელება.

class OvrIndexer

{

   private string[] myData;

   private int arrSize;

   public OvrIndexer(int size)

   {

      arrSize = size;

      myData = new string[size];

      for (int i = 0; i < size; i++)

      {

         myData[i] = "ცარიელი";

      }

   }

   public string this[int pos]

   {
```

```
    get
    {
        return myData[pos];
    }
    set
    {
        myData[pos] = value;
    }
}
public string this[string data]
{
    get
    {
        int count = 0;
        for (int i = 0; i < arrSize; i++)
        {
            if (myData[i] == data)
            {
                count++;
            }
        }
        return count.ToString();
```

```
    }
    set
    {
        for (int i = 0; i < arrSize; i++)
        {
            if (myData[i] == data)
            {
                myData[i] = value;
            }
        }
    }
}
static void Main(string[] args)
{
    int size = 10;
    OvrIndexer myInd = new OvrIndexer(size);
    myInd[9] = "რაიმე მნიშვნელობა";
    myInd[3] = "სხვა მნიშვნელობა";
    myInd[5] = "ნებისმიერი მნიშვნელობა";
    myInd["carieli"] = "არ აქვს მნიშვნელობა";
    Console.WriteLine("\nმაინდექსირებლის გამოტანა\n");
    for (int i = 0; i < size; i++)
```

```
    {
        Console.WriteLine("myInd[{0}]: {1}", i, myInd[i]);
    }
    Console.WriteLine("\n \"არ აქვს მნიშვნელობა\" მნიშვნელობათა რაოდენობა: {0}",
myInd["არ აქვს მნიშვნელობა"]);
  }
}
```

პირველი მაინდექსირებელი იგივეა რაც წინა მაგალითში. მეორე მაინდექსირებელში, get-ის დროს, ხდება პარამეტრის მნიშვნელობის მქონე მასივის ელემენტების დათვლა. set-ის დროს, თუ მასივის ელემენტი უდრის პარამეტრის მნიშვნელობას, მაშინ მასივის ელემენტს ენიჭება ახალი მნიშვნელობა.

როცა მაინდექსირებელს მრავალი პარამეტრი აქვს დაიწერება ასე:

```
public object this[int param1, int param2, int param3]
  {
    get
    {
        // მოქმედებები და კლასის ზოგიერთი მონაცემის
// დაბრუნება
    }
    set
    {
            // მოქმედებები და კლასის ზოგიერთი მონაცემის
// დაყენება
```

```
    }

}
```

3.2 სტრუქტურები. იმისათვის, რომ დავინახოთ თუ რა განსხვავება არსებობს სტრუქტურებსა და კლასებს შორის, შევადაროთ ისინი ერთიმეორეს. პირველ რიგში, struct არის მნიშვნელობის ტიპი, ხოლო class არის მიმთითებლის ტიპი. სტრუქტურის განსაზღვრის დროს, მეხსიერებაში გამოიყოფა მისთვის ადგილი, მაშინ როცა კლასის განსაზღვრის დროს მეხსიერებაში გამოიყოფა ადგილი კლასის მიმთითებლისათვის. ახლა, განვიხილოთ მომხმარებლის მიერ განსაზღვრული სტრუქტურის მაგალითი:

```
// კლიენტის struct ტიპი, რომელიც წარმოადგენს მართკუთხოვან ფორმას

struct Rectangle

{

   private int m_width;

      // მართკუთხედის სიგანე

   public int Width

   {

      get

      {

         return m_width;

      }

      set

      {

         m_width = value;

      }

   }

   // მართკუთხედის სიმაღლე
```

```
    private int m_height;
    // მართკუთხედის სიმაღლის დაყენება და მიღება
    public int Height
    {
        get
        {
            return m_height;
        }
        set
        {
            m_height = value;
        }
    }
}
```

ამ მაგალითში განსაზღვრულია სტრუქტურა Rectangle, რომელსაც აქვს ორი თვისება. სტრუქტურის განსაზღვრა იწყება სიტყვით სტრუცტ, რომელსაც მოსდევს სტრუქტურის სახელი და ფიგურულ ფრჩხილებში მოთავსებული სტრუქტურის წევრები. რომ გამოვიყენოთ ეს სტრუქტურა, უნდა მოვახდინოთ მისი ინიციალიზაცია და შემდეგ გამოვიყენოთ მისი თვისებები, როგორც ეს მოცემულია შემდეგ მაგალითში:

```
using System;
// სტრუქტურის განსაზვრისა და გამოყენების მაგალითი
class StructExample
{
```

```
    // პროგრამაში შესასვლელი
        static void Main()
    {
        // სტრუქტურის რეალიზაცია
        // სიგრძეა 1 და სიმაღლე 3
        Rectangle rect1 = new Rectangle();
        rect1.Width = 1;
        rect1.Height = 3;
        // rect1-ის სიგრძისა და სიმაღლის ჩვენება
        Console.WriteLine("rect1:  {0}:{1}", rect1.Width, rect1.Height);
Console.ReadKey();
    }
}
```

იგივე შეიძლებაგაკეთდეს ობიექტის ინიციალიზაციით:

```
        Rectangle rect11 = new Rectangle
        {
            Width = 1,
            Height = 3
        };
```

აქ, შექმნილია rect11 მართკუთხედი, გვერდებით 1 და 3.

```
// klientis struct tipi, romelic warmoadgens marTkuTxeds
 struct Rectangle
```

```
{
    // სიგანის მოცემა
    private int m_width;
    // სიგანის დაყენება და მიღება
    public int Width
    {
        get
        {
            return m_width;
        }
        set
        {
            m_width = value;
        }
    }
    // ადგილი სიმაღლისათვის
      private int m_height;
    // სიმაღლის დაყენება და მიღება
        public int Height
    {
        get
        {
```

```
        return m_height;
      }
      set
      {
        m_height = value;
      }
    }
```

რომ გადატვირთოთ სტრუქტურის კონსტრუქტორი უნდა შემოიტანოთ ცხადად პარამეტრებიანი კონსტრუქტორი, როგორც ეს ნაჩვენებია შემდეგ მაგალითში:

```
    // ახალი მართკუთხედის შექმნა პარამეტრებიანი  კონსტრუქტორით
    public Rectangle(int width, int height)
    {
      m_width = width;
      m_height = height;
    }}
```

სტრუქტურის ინიციალიზაცია კონსტრუქტორის გადატვირთვით:

```
using System;
class StructExample
{
    static void Main()
    {
            // rect2 სტრუქტურის შექმნა
```

```
Rectangle rect2 = new Rectangle(5, 7);


        Console.WriteLine("rect2:  {0}:{1}", rect2.Width, rect2.Height);
        Console.ReadKey();
    }
}
```

სტრუქტურაში მეთოდის შემოტანა:

```
struct Rectangle
{
    private int m_width;
    public int Width
    {
        get
        {
            return m_width;
        }
        set
        {
            m_width = value;
        }
    }
    private int m_height;
```

```
    public int Height
    {
        get
        {
            return m_height;
        }
        set
        {
            m_height = value;
        }
    }
// პარამეტრებიანი კონსტრუქტორი
    public Rectangle(int width, int height)
    {
        m_width = width;
        m_height = height;
    }
            // მოცემული მართკუთხედის ზომის გაზრდა კონკრეტული
//მართკუთხედის ზომით
    public Rectangle Add(Rectangle rect)
    {
            // newRect მართკუთხედის შექმნა
```

```
                        Rectangle newRect = new Rectangle();
        // მართკუთხედის ზომის გაზრდა
        newRect.Width = Width + rect.Width;
        newRect.Height = Height + rect.Height;
        // newRect-is dabruneba
                        return newRect;
    }
}
```

სტრუქტურის მეთოდის გამოძახება:

```
using System;
// სტრუქტურის გამოცხადებისა და გამოყენების მაგალითი
class StructExample
{
        static void Main()
    {
        // რეცტ1 მართკუთხედის შექმნა და ინიციალიზაცია
        Rectangle rect1 = new Rectangle();
        rect1.Width = 1;
        rect1.Height = 3;
        Console.WriteLine("rect1:  {0}:{1}", rect1.Width, rect1.Height);
            // rect2 მართკუთხედის შექმნა და ინიციალიზაცია
Rectangle rect2 = new Rectangle(5, 7);
```

```
        Console.WriteLine("rect2:  {0}:{1}", rect2.Width, rect2.Height);

    // rect3 მართკუთხედის  შექმნა    და  ინიციალიზაცია rect1.Add-ით

Rectangle rect3 = rect1.Add(rect2);

        Console.WriteLine("მართკუთხედი3:  {0}:{1}", rect3.Width, rect3.Height);

        Console.ReadKey();

    }

}

        Console.ReadKey();

    }

}
```

3.3 ინტერფეისები.

ამ პარაგრაფში შეისწავლით რა არის ინტერფეისი, როგორ შექმნათ და გამოიყენოთ იგი. ინტერფეისს, ისევე როგორც კლასს, აქვს სახელი და იგი შეიძლება შეიცავდეს ხდომილებების, მაინდექსირებლების, მეთოდებისა თვისებების გამოცხადებებს რეალიზაციის გარეშე. შეთანხმებით მისი სახელი იწყება ყოველთვის I ასოთი. განვიხილოთ მაგალითი:

```
interface IMyInterface

{

   void MethodToImplement();

}
```

ამ მაგალითში შემოტანილია ინტერფეისი IMyInterface , რომელიც შეიცავს ერთ სარეალიზაციო მეთოდს MethodToImplemnt(); ტანის გარეშე. ამ ინტერფეისის მემკვიდრე კლასში უნდა იყოს ამ მეთოდის განსაზღვრება და მათ უნდა ჰქონდეთ ერთნაირი სიგნატურა. ახლა, ვნახოთ ამ ინტერფეისის გამოყენება:

```
class InterfaceImplementer : IMyInterface

{

   static void Main()

   {

      InterfaceImplementer iImp = new InterfaceImplementer();

      iImp.MethodToImplement();

   }

   public void MethodToImplement()

   {

      Console.WriteLine("MethodToImplement() გამოძახება.");
```

```
    }
}
```

აქ, ჩვენ გვაქვს წინა ინტერფეისის მემკვიდრე კლასი, რომელიც რეალიზაციას უკეთებს ინტერფეისის მეთოდს და იყენებს ამ მეთოდს. ყურადღება მიაქციეთ, რომ ინტერფეისის მეთოდს და რეალიზებულ მეთოდს აქვთ ერთნაირი სიგნატურა. ეს სავალდებულოა, წინააღმდეგ შემთხვევაში კომპილატორი მოგვცემს შეცდომას. ინტერფეისის მემკვიდრე კლასი უნდა შეიცავდეს ინტერფეისის ყველა წევრის რეალიზაციას. ერთი ინტერფეისი შეიძლება იყოს მეორე ინტერფეისის მემკვიდრე. განვიხილოთ მაგალითი:

```
 using System;
interface IParentInterface
{
    void ParentInterfaceMethod();
}
interface IMyInterface : IParentInterface
{
    void MethodToImplement();
}


class InterfaceImplementer : IMyInterface
{
    static void Main()
    {
        InterfaceImplementer iImp = new InterfaceImplementer();
```

```
        iImp.MethodToImplement();
        iImp.ParentInterfaceMethod();
    }
    public void MethodToImplement()
    {
        Console.WriteLine("MethodToImplement() გამოძახება.");
    }
    public void ParentInterfaceMethod()
    {
        Console.WriteLine("ParentInterfaceMethod() გამოძახება.");
    }
}
```

ამგვარად, ამ ლექციაში ვაჩვენეთ როგორ შევქმნათ ინტერფეისი, როგორ გამოვიყენოთ შექმნილი ინტერფეისი მის მემკვიდრე კლასში და როგორ გავახორციელოთ ინტერფეისების მემკვიდრეობითობა.

3.4 დელეგატები და ხდომილებები. ამ პარაგრაფში შეისწავლით რა არის დელეგატი და ხდომილება და როგორ გამოიყენოთ ისინი. C#-ში გვაქვს მონაცემების ორი ტიპი – მნიშვნელობები და მიმთითებლები. აქამდე გაეცანით კლასებსა და ინტერფეისებს. ახლა გაეცნობით დელეგატებს, რომლებიც არიან მეთოდებზე მიმთითებლები.

```
using System;

// ეს არის დელეგატის გამოცხადება

public delegate int Comparer(object obj1, object obj2);

public class Name

{

   public string FirstName = null;

   public string LastName = null;

   public Name(string first, string last)

   {

      FirstName = first;

      LastName = last;

   }

   // ეს არის delegate მეთოდის დამამუშავებელი

   public static int CompareFirstNames(object name1, object name2)

   {

      string n1 = ((Name)name1).FirstName;

      string n2 = ((Name)name2).FirstName;

      if (String.Compare(n1, n2) > 0)
```

```
        {
            return 1;
        }
        else if (String.Compare(n1, n2) < 0)
        {
            return -1;
        }
        else
        {
            return 0;
        }
    }
    public override string ToString()
    {
        return FirstName + " " + LastName;
    }
}
class SimpleDelegate
{
    Name[] names = new Name[5];
    public SimpleDelegate()
    {
```

```
    names[0] = new Name("ილია", "ჭავჭავაძე");
    names[1] = new Name("აკაკი", "წერეთელი");
    names[2] = new Name("ვაჟა", "ფშაველა");
    names[3] = new Name("ეგნატე", "ნინოშვილი");
    names[4] = new Name("ჭოლა", "ლომთათიძე");
}
static void Main(string[] args)
{
    SimpleDelegate sd = new SimpleDelegate();
    // ეს არის delegate-ის  მყისიერი მდგომარეობა
    Comparer cmp = new Comparer(Name.CompareFirstNames);
    Console.WriteLine("\nდახარისხებამდე: \n");
    sd.PrintNames();
    // დაათვალიერეთ delegate-ს არგუმენტი
    sd.Sort(cmp);
    Console.WriteLine("\nდახარისხების შემდეგ: \n");
    sd.PrintNames();
}

// delegate-ის პარამეტრი
public void Sort(Comparer compare)
{
```

```
    object temp;
    for (int i=0; i < names.Length; i++)
    {
        for (int j=i; j < names.Length; j++)
        {
            // delegate "compare" გამოყენება
                        // ჩვეულებრივი მეთოდის მსგავსად
            if ( compare(names[i], names[j]) > 0 )
            {
                temp = names[i];
                names[i] = names[j];
                names[j] = (Name)temp;
            }
        }
    }
}
public void PrintNames()
{
    Console.WriteLine("სახელები: \n");
    foreach (Name name in names)
    {
        Console.WriteLine(name.ToString());
```

```
        }
    }
}
 public static int CompareFirstNames(object name1, object name2)
    {
        ...
    }
using System;
using System.Drawing;
using System.Windows.Forms;
//  საკუთარი  delegate
public delegate void Startdelegate();
class Eventdemo : Form
{
    // საკუთარი event
    public event Startdelegate StartEvent;
    public Eventdemo()
    {
        Button clickMe = new Button();
        clickMe.Parent = this;
        clickMe.Text = "Click Me";
        clickMe.Location = new Point(
```

```
        (ClientSize.Width - clickMe.Width) /2,
        (ClientSize.Height - clickMe.Height)/2);
    // ხდომილების დამამუშავებელი Delegate დანიშნულია
    // ღილაკზე დაწკაპუნების ხდომილებისათვის
    clickMe.Click += new EventHandler(OnClickMeClicked);
    // ჩვენი custom "Startdelegate" delegateდაენიშნა
    // ჩვენს custom "StartEvent" ხდომილებას.
    StartEvent += new Startdelegate(OnStartEvent);
    // custom event-ის ჩართვა
    StartEvent();
}
    // ეს მეთოდი გამოიძახება როცა "clickMe" ღილაკს დააჭერთ
public void OnClickMeClicked(object sender, EventArgs ea)
{
    MessageBox.Show("You Clicked My Button!");
}
//ეს მეთოდი გამოიძახება, როცა "StartEvent" ხდომილება ჩაირთვება
public void OnStartEvent()
{
    MessageBox.Show("მე დავიწყე!");
}
static void Main(string[] args)
```

```
    {
        Application.Run(new Eventdemo());
    }
}
public void OnClickMeClicked(object sender, EventArgs ea)
    {
        MessageBox.Show("თქვენ დააჭირეთ ღილაკს!");
    }
```

3.5 განსაკუთრებულ შემთხვევათა დამუშავება. ამ პარაგრაფში შეისწავლით რა არის განსაკუთრებული შემთხვევა, როგორ განახორციელოთ შეცდომების დამუშავების სტანდარტი try/catch ბლოკით და როგორ გაათავისუფლოთ რესურსები finally ბლოკით.

განსაკუთრებული შემთხვევები არიან გაუთვალისწინებელი შეცდომები, რომლებიც შეიძლება პროგრამაში წარმოიშვნენ. უმეტეს შემთხვევებში შესაძლებელია იწინასწარმეტყველოთ სად შეიძლება წარმოიშვას შეცდომა და მიიღოთ სათანადო ზომები, რომ აიცილოთ იგი. მაგალითად, შეამოწმოთ აბრუნებს თუ არა ფუნქცია იმ მნიშვნელობას რასაც ელოდებით. ზოგ შემთხვევებში შეუძლებელია იწინასწარმეტყველოთ იგი. მაგალითად, ფაილის წაკითხვის შემთხვევაში და მონაცემთა ბაზასთან მუშაობის დროს. System.Exeption კლასი ითვალისწინებს სხვადასხვა მეთოდებსა და თვისებებს, რომ მიიღოთ ინფორმაცია იმის შესახებ თუ რა არ არის სწორი პროგრამაში. მაგალითად, Message თვისება ითვალისწინებს ინფორმაციას თუ რა შეცდომა წარმოიშვა. Stacktrace თვისება იძლევა ინიფორმაციას იმის შესახებ თუ რა ადგილზე წარმოიშვა შეცდომა და გადაფარული ToString() იძლევა დაწვრილებით ინფორმაციას მთელი შეცდომის შესახებ. თუ რა განსაკუთრებული შემთხვევები შეიძლება წარმოიშვას დამოკიდებულია იმაზე, თუ რა მოქმედება სრულდებოდა განსაკუთრებული შემთხვევის წარმოშობის მომენტში. მაგალითად, System.IO.File.OpenRead() მეთოდის შესრულებისას შეიძლება წამოიშვას შემდეგი განსაკუთრებული შემთხვევები:

SecurityException

ArgumentException

PathTooLongException

DirectoryNotFoundException

FileNotFoundException

NotSupportedException

რომ დაადგინოთ, კონკრეტულმა მეთოდმა რა განსაკუთრებული შემთხვევები შეიძლება წარმოშვას, უნდა შეხვიდეთ .Net Frmework SDK დოკუმენტაციაში,

გადახვიდეთ Reference/Class Library სექციაში და ნახოთ Namespace/Class/Method დოკუმენტაცია. მას შემდეგ, რაც იცით თუ რა განსაკუთრებული შემთხვევები შეიძლება წარმოიშვას კონკრეტული მეთოდის გამოყენების შემთხვევაში, თქვენ უნდა დაამუშაოთ ყოველი განსაკუთრებული შემთხვევა try/catch ბლოკებში. try ბლოკში უნდა შეიტანოთ გამოსაცდელი კოდი და catch ბლოკში შესაძლო განსაკუთრებული შემთხვევების დამამუშავებელი კოდი. განვიხილოთ მაგალითი:

Listing 15-1. Using a try/catch Blocks: tryCatchDemo.cs

```
using System;

using System.IO;

class tryCatchDemo

{

   static void Main(string[] args)

   {

      try

      {

         File.OpenRead("NonExistentFile");

      }

      catch(Exception ex)

      {

         Console.WriteLine(ex.ToString());

      }

   }

}
```

ამ მაგალითში საცდელი მეთოდია File.OpenRead, ხოლო catch ბლოკში დაჭერა ხდება Exception განსაკუთრებული შემთხვევის. რადგან Exception არის ბაზური განსაკუთრებული შემთხვევის ტიპი (ყველა სხვა განსაკუთრებული შემთხვევა არის მისგან წარმოებული ტიპი), ამიტომ ნებისმიერი განსაკუთრებული შემთხვევა იქნება დაჭერილი. ახლა ვნახოთ, თუ როგორ დავიჭიროთ კონკრეტული განსაკუთრებული შემთხვევა:

```
catch(FileNotFoundException fnfex)
    {
       Console.WriteLine(fnfex.ToString());
    }
    catch(Exception ex)
    {
       Console.WriteLine(ex.ToString());
    }
```

ამ მაგალითში გვაქვს ორი განსაუთრებული შემთხვევის დაჭერა. რადგან FileNotFoundException არის წარმოებული ტიპი ამიტომ პირველ რიგში მოხდება მისი დაჭერა. სხვა შეცდომის შემთხვევაში მოხდება Exception-ის დაჭერა. განსაკუთრებული შემთხვევის დროს საჭიროა მისი შედეგების ლიკვიდაცია. ამისათვის გამოიყენება finally ბლოკი. იგი სრულდება მეთოდის დამთავრების წინ. მასში უნდა მოთავსდეს ის მოქმედებები, რაც საჭიროა განსაკუთრებული შემთხვევის შედეგების აღმოსაფხვრელად. განვიხილოთ მაგალითი:

Listing 15-2. საბოლოო ბლოკის რეალიზაცია: FinallyDemo.cs

```
using System;
using System.IO;
class FinallyDemo
{
```

```
static void Main(string[] args)
{
    FileStream outStream = null;
    FileStream inStream = null;
    try
    {
        outStream = File.OpenWrite("DestinationFile.txt");
        inStream = File.OpenRead("BogusInputFile.txt");
    }
    catch(Exception ex)
    {
        Console.WriteLine(ex.ToString());
    }
    finally
    {
        if (outStream != null)
        {
            outStream.Close();
            Console.WriteLine("გარე ნაკადი დაიხურა.");
        }
        if (inStream != null)
        {
```

```
            inStream.Close();

            Console.WriteLine("inStream დაიხურა.");

        }

    }

}
```

ამ მაგალითში ნაკადური შეტანა/გამოტანის შემთხვევაში წარმოშობილი შეცდომისას ხდება სათანადო ნაკადის დახურვა.

3.6 ატრიბუტების გამოყენება. ამ პარაგრაფში შეისწავლით: რა არის ატრიბუტი და რატომ უნდა გამოიყენოთ იგი; უპარამეტრო და მრავალპარამეტრიანი ატრიბუტების გამოყენებას; ასამბლირებული კოდის, ტიპის წევრების და ტიპის დონის ატრიბუტების გამოყენებას. ატრიბუტები არიან ელემენტები, რომლებიც საშუალებას გაძლევენ დაუმატოთ დეკლარაციული ინფორმაცია თქვენს პროგრამებს. ეს დეკლარაციული ინფორმაცია გამოიყენება სხვადასხვა დანიშნულებით პროგრამის შესრულების დროს და პროგრამის შექმნისას გამოყენებითი პროგრამების შემქმნელი საშუალებების მიერ. მაგალითად, არსებობენ ატრიბუტები როგორიცაა DllImportAttribute , რომლითაც თქვენ შეგიძლიათ დაუკავშირდეთ WIN32 ბიბლიოთეკებს. მეორე ატრიბუტს ObsoleteAttribute-ს კომპილაციის დროს გამოაქვს გაფრთხილება, რომ კონკრეტული მეთოდი არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს. ატრიბუტები არიან კლასები, რომლებიც შეიძლება დაიწერონ C#-ზე და გამოყენებულ იქნენ თქვენი კოდის გასალამაზებლად დეკლარაციული ინფორმაციით. ამ ლექციაში ვაჩვენებთ როგორ გამოვიყენოთ წინასწარ არსებული ატრიბუტები პროგრამაში. რაც დაგეხმარებათ გამოიყენოთ მრავალი სხვა წინასწარ არსებული ატრიბუტები, რომლებიც არსებობენ .NET class ბიბლიოთეკებში. ატრიბუტი იწერება ტიპის წინ და ჩასმულია კვადრატულ ფრჩხილებში. მაგალითად, [ObsoluteAtribute], ან [Obsolute] სიტყვა Atribute გარეშე. მრავალ ატრიბუტს აქვს პარამეტრების სია, რაც საშუალებას გვაძლევს ჩავრთოთ დამატებითი ინფორმაცია ატრიბუტში. განვიხილოთ მაგალითი:

```
using System;


class BasicAttributeDemo

{

   [Obsolete]

   public void MyFirstdeprecatedMethod()
```

```
{
    Console.WriteLine("gamoZaxebulia MyFirstdeprecatedMethod().");
}
[ObsoleteAttribute]
public void MySecondDeprecatedMethod()
{
    Console.WriteLine("გამოძახებულია MySecondDeprecatedMethod().");
}
[Obsolete("ar unda gamoiyenoT es meTodi")]
public void MyThirdDeprecatedMethod()
{
    Console.WriteLine("გამოძახებულია  MyThirdDeprecatedMethod().");
}
// უსაფრთხო პროგრამის ძაფის გაკეთება COM-ისთვის
[STAThread]
static void Main(string[] args)
{
    BasicAttributeDemo attrDemo = new BasicAttributeDemo();

    attrDemo.MyFirstdeprecatedMethod();
    attrDemo.MySecondDeprecatedMethod();
    attrDemo.MyThirdDeprecatedMethod();
```

```
    }
}
 [Obsolete]
    public void MyFirstdeprecatedMethod()
    ...
    [ObsoleteAttribute]
    public void MySecondDeprecatedMethod()
    ...
```

Listing 16-2. პოზიციური და სახელიანი ატრიბუტი პარამეტრების გამოყენება: AttributeParamsDemo.cs

```
using System;
using System.Runtime.InteropServices;
class AttributeParamsDemo
{
    [DllImport("User32.dll", EntryPoint="MessageBox")]
    static extern int MessageDialog(int hWnd, string msg, string caption, int msgType);
    [STAThread]
    static void Main(string[] args)
    {
        MessageDialog(0, "MessageDialog Called!", "DllImport Demo", 0);
    }
}
```

ატრიბუტს შეიძლება ჰქონდეს პოზიციური და სახელდებული პარამეტრები. პოზიციური პარამეტრები წინ უნდა უსწრებდეს სახელდებულ პარამეტრებს:

Listing 16-3. პოზიციური და ატრიბუტი პარამეტრების გამოყენება:
AttributeTargetdemo.cs

```
using System;

[assembly:CLSCompliant(true)]

public class AttributeTargetdemo

{

   public void NonClsCompliantMethod(uint nclsParam)

   {

      Console.WriteLine("გამოძახაNonClsCompliantMethod().");

   }

   [STAThread]

   static void Main(string[] args)

   {

      uint myUint = 0;

      AttributeTargetdemo tgtdemo = new AttributeTargetdemo();

      tgtdemo.NonClsCompliantMethod(myUint);

   }

}
```

4 თავი.
სხვა საშუალებები ეფექტური პროგრამების შესაქმნელად

4.1 გადანომვრა. ამ პარაგრაფის მიზანია: შევისწავლოთ რა არის გადანომრვა; შეგეძლოთ შექმნათ ახალი გადანომრის ტიპები; შევისწავლოთ როგორ გამოვიყენოთ ისინი და გავეცნოთ System.Enum ტიპის მეთოდებს. გადანომრვები არიან მკაცრად ტიპიზირებული კონსტანტები. ისინი არსებითად არიან უნიკალური ტიპები, რომლებიც საშუალებას გაძლევთ სიმბოლური სახელების ნაცვლად გამოიყენოთ მთელი რიცხვები. ნებისმიერი ახალი აღნიშვნა გადანომრვის ტიპსა და მთელ რიცხვს შორის მოითხოვს ცხად გარდაქმნას, რადგან ისინი სხვადასხვა ტიპის არიან. სიმბოლური აღნიშვნები არიან შინაარსობლივი, მაგრამ არიან მოუხერხებელი მისათითებლად ვიდრე მთელი რიცხვები. მაგალითად, თუ გვაქვს სახელის მქონე მნიშვნელობები: ორშაბათი, სამშაბათი და ასე შემდეგ კვირა და მათ შევუსაბამებთ მთელ რიცხვებს 0, 1 და ასე შემდეგ 6, ეს რიცხვები შემდგომში მიუთითებენ კვირის დღეებს. გადანომრვები არიან აღნიშნული enum ან Enum გასაღები სიტყვებით. C#-ის enum ტიპი ასე Class Library (BCL)-ის Enum ტიპის მემკვიდრეა. გამოიყენეთ C#-ის enum, რომ განსაზღვროთ ახალი გადანომრვის ტიპები და გამოიყენეთ Enum, რომ განახორციელოთ static enum მეთოდები. განვიხილოთ მაგალითი, თუ როგორ განსაზღვროთ enum ტიპი და გამოიყენოთ იგი switch ინსტრუქციაში:

```
using System;

// აცხადებს enum-ს

public enum Volume

{

  Low,

  Medium,

  High

}

// enum-ის გამოყენება
```

```
class EnumSwitch
{
  static void Main()
  {
    // enum ტიპის ობიექტის შექმნა
    Volume myVolume = Volume.Medium;
    // გადაწყვეტილების მიღება ენუმ მნიშვნელობის მიხედვით
    switch (myVolume)
    {
      case Volume.Low:
        Console.WriteLine("ტომი გამორთულია.");
        break;
      case Volume.Medium:
        Console.WriteLine("ტომის ნახევარი.");
        break;
      case Volume.High:
        Console.WriteLine("ტომი ჩაირთო.");
        break;
    }
}
```

ახლა განვიხილოთ როგორ დავაყენოთ Enum Base და როგორ მოვახდინოთ მისი წევრების ინიციალიზაცია:

```
using System;
// აცხდებს  enum-ს
public enum Volume : byte
{
   Low = 1,
   Medium,
   High
}
class EnumBaseAndMembers
{
   static void Main()
   {
            // შექმნა და ინიციალიზაცია
            // enum ტიპის ობიექტის შექმნა
      Volume myVolume = Volume.Low;
      // enum  მნიშვნელობის მიხედვით გადაწყვეტილების მიღება
      switch (myVolume)
      {
         case Volume.Low:
            Console.WriteLine("ტომი გამოირთო.");
            break;
         case Volume.Medium:
```

```
            Console.WriteLine("ტომის ნახევარი.");
            break;
        case Volume.High:
            Console.WriteLine("ტომი ჩაირთო.");
            break;
      }
      Console.ReadLine();
   }
}
```

enum ბაზური ტიპი გაჩუმებით არის int, მაგრამ შეიძლება შეიცვალოს სხვა ბაზური ტიპით – byte, როგორც ეს მოცემულია ინსტრუქციაში:

```
public enum Volume : byte
```

ჩვეულებრივ, საწყისი მნიშვნელობა იწყება ნულით, შემდეგი მნიშვნელობა არის ერთი და ასე შემდეგ. მაგრამ, საწყისი მნიშვნელობა დავიწყოთ სხვა რიცხვით, როგორც ეს მოცემულია ინსტრუქციაში:

```
Low = 1
```

ახლა, განვიხილოთ Enum გარდაქმნები და System.Enum გამოყენების მაგალითი:

Listing 17-3. Enum გარდაქმნები და using the System.Enum ტიპი: Enumtricks.cs

```
using System;
// enum-ის გამოცხადება
public enum Volume : byte
{
   Low = 1,
```

```
    Medium,
    High
}

// გადანომრვებთან მუშაობის სხვა ხერხი
class Enumtricks
{
    static void Main(string[] args)
    {
            // ობიექტის შექმნა
        Enumtricks enumtricks = new Enumtricks();
        // გვიჩვენებს ცხად გარდაქმნას int-ის Volume-ში
        enumtricks.GetEnumFromUser();
        //იტერაცია სახელით
        enumtricks.ListEnumMembersByName();
            // იტერაცია მიშვნელობით
        enumtricks.ListEnumMembersByValue();
        Console.ReadLine();
    }
    public void GetEnumFromUser()
    {
        Console.WriteLine("\n----------------");
```

```
        Console.WriteLine("ზომის დაყენება:");
        Console.WriteLine("----------------\n");
        Console.Write(@"1 – მცირე  2 – საშუალო 3 – დიდი აირჩიეთ ერთერთი (1, 2, ან 3): ");
```

```
            // მომხმარებლის მიერ განსაზღვრული მნიშვნელობის მიღება
        string volString = Console.ReadLine();
// ცხადი გარდაქმნა
        int volInt = Int32.Parse(volString);
        // ცხადი გარდაქმნა
         Volume myVolume = (Volume)volInt;
        Console.WriteLine();
        switch (myVolume)
        {
           case Volume.Low:
              Console.WriteLine("ტომი გამოირთო.");
              break;
           case Volume.Medium:
              Console.WriteLine("ტომის ნახევარი.");
              break;
           case Volume.High:
              Console.WriteLine("ტომი ჩაირთო.");
```

```
            break;
        }
        Console.WriteLine();
    }
    // სახელით იტერაცია
    public void ListEnumMembersByName()
    {
        Console.WriteLine("\n----------------------------- ");
        Console.WriteLine("ტომის წევრების გადანომრვა სახელით:");
        Console.WriteLine("-----------------------------\n");
        foreach (string volume in Enum.GetNames(typeof(Volume)))
        {
            Console.WriteLine("ტომის წევრი: {0}\n მნიშვნელობა: {1}",
                volume, (byte)Enum.Parse(typeof(Volume), volume));
        }
    }
    // მიშვნელობით იტერაცია
    public void ListEnumMembersByValue()
    {
        Console.WriteLine("\n----------------------------- ");
        Console.WriteLine("ტომის წევრების გადანომრვა მნიშვნელობით:");
        Console.WriteLine("-----------------------------\n");
```

```
        // ყველა მნიშვნელობის (რიცხვითი მნიშვნელობების) მიღება ტომიდან
        // enum ტიპი, წევრის სახელის ფორმირება და გამოტანა
        foreach (byte val in Enum.GetValues(typeof(Volume)))
        {
            Console.WriteLine("ტომის მნიშვნელობა: {0}\n წევრი: {1}",
                val, Enum.GetName(typeof(Volume), val));
        }
    }
}
// მომხმარებლის მიერ გათვალისწინებული მნიშვნელობის მიღება
        string volString = Console.ReadLine();
        int volInt = Int32.Parse(volString);
        // ცხადი გარდაქმნის შესრულება int-დან enum ტიპში
        Volume myVolume = (Volume)volInt;
  // წევრების სახელების სიის მიღება enum ტომიდან,
        // რიცხვითი მნიშვნელობის ფორმირება და გამოტანა
        foreach (string volume in Enum.GetNames(typeof(Volume)))
        {
            Console.WriteLine("ტომის წევრი: {0}\n მნიშვნელობა: {1}",
                volume, (byte)Enum.Parse(typeof(Volume), volume));
        }
  // ყველა მნიშვნელობის (რიცხვითი მნიშვნელობების) მიღება Volume
```

```
// enum ტიპიდან, წევრის სახელის ფორმირება და გამოტანა
foreach (byte val in Enum.GetValues(typeof(Volume)))
{
    Console.WriteLine("Volume Value: {0}\n Member: {1}",
        val, Enum.GetName(typeof(Volume), val));
}
```

4.2 ოპერატორების გადატვირთვა. ამ პარაგრაფში შეისწავლით: რა არის ოპერატორის გადატვირთვა; როდის არის მიზანშეწონილი ოპერატორის გადატვირთვა; როგორ გადატვირთოთ ოპერატორი და გაეცნობით ოპერატორების გადატვირთვის წესებს. C#-ში ოპერატორები გამოიყენებიან ბაზურ ტიპებზე მათემატიკური ოპერაციების შესასრულებლად. ოპერატორის გადატვირთვა ნიშნავს, გამოვიყენოთ კონკრეტული ოპერატორი მომხმარებლის მიერ განსაზღვრულ ტიპებზე ოპერატორის სიმბოლოს შეუცვლელად და შეცვალოთ კოდი, რომელიც ოპერატორმა უნდა შეასრულოს. ამისათვის, მომხმარებელმა უნდა შექმნას ტიპი და მასში განსაზღვროს static მეთოდი. ამ მეთოდის სახელია ოპერატორის სიმბოლო და წინ ეწერება გასაღები სიტყვა operator. პარამეტრების და დასაბრუნებელი მნიშვნელობის ტიპი უნდა იყოს მომხმარებლის მიერ განსაზღვრული ტიპი. მეთოდის ტანი უნდა იყოს ოპერატორის შესასრულებელი კოდი. ოპერატორის გადატვირთვა ყოველთვის არ არის მიზანშეწონილი. მაგალითად, თუ ოპერატორის სემანტიკა მკვეთრად განსხვავებულია გადატვირთული ოპერატორის სემანტიკისაგან. ახლა, მოვიყვანოთ ოპერატორის გადატვირთვისა და მისი გამოყენების მაგალითი:

```
using System;

class Matrix

{

        public const int DimSize = 3;

        private double[,] m_matrix = new double[DimSize, DimSize];

        // ინიციალიზაცია გამომძახებლის მიერ

        public double this[int x, int y]

        {

                get { return m_matrix[x, y]; }

                set { m_matrix[x, y] = value; }

        }
```

```
        // მატრიცების შეკრება
        public static Matrix operator +(Matrix mat1, Matrix mat2)
        {
                Matrix newMatrix = new Matrix();
                for (int x=0; x < DimSize; x++)
                        for (int y=0; y < DimSize; y++)
                                newMatrix[x, y] = mat1[x, y] + mat2[x, y];
                return newMatrix;
        }
}
class MatrixTest
{
        // მატრიცის ინიციალიზაცია შემთხვევითი რიცხვებით
        public static Random m_rand = new Random();
        // Matrix-ის ტესტირება
        static void Main()
        {
                Matrix mat1 = new Matrix();
                Matrix mat2 = new Matrix();
                // მატრიცების ინიციალიზაცია
                InitMatrix(mat1);
                InitMatrix(mat2);
```

```
        // მატრიცების გამოტანა
        Console.WriteLine("Matrix 1: ");
        PrintMatrix(mat1);
        Console.WriteLine("Matrix 2: ");
        PrintMatrix(mat2);
        // მატრიცების შეკრება და შედეგის გამოტანა
        Matrix mat3 = mat1 + mat2;
        Console.WriteLine();
        Console.WriteLine("Matrix 1 + Matrix 2 = ");
        PrintMatrix(mat3);
        Console.ReadLine();
}
//მატრიცის ინიციალიზაცია
public static void InitMatrix(Matrix mat)
{
        for (int x=0; x < Matrix.DimSize; x++)
                for (int y=0; y < Matrix.DimSize; y++)
                        mat[x, y] = m_rand.NextDouble();
}
// მატრიცის გამოტანა
public static void PrintMatrix(Matrix mat)
```

```
        {
            Console.WriteLine();
            for (int x=0; x < Matrix.DimSize; x++)
            {
                Console.Write("[ ");
                for (int y=0; y < Matrix.DimSize; y++)
                {
                    // გამოტანის დაფორმატება
